საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 9 აპრილი. 2016 წ. №66 (7958), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

25 წელი დამოუკიდებლობის აღდგენიდან

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან 25 წელი გავიდა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“ მიიღო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა.

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის ერთადერთ შეკითხვას – „ხართ თუ არა თანახმა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა“ – დადებითად უპასუხა.

1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან 1989 წლის 9 აპრილს, დილის ოთხ საათზე, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის წინ შეკრებილი მშვიდობიან მომიტინგეები, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან გამოსვლასა და საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, საბჭოთა არმიის სამხედრო შენაერთებმა დაარბიეს.

1991 წლის 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა ნათელი ხსოვნისადმი პატივის მიგების ნიშნად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, ის ერთადერთი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც მოხდა საქართველოს სუვერენიტეტის საერთაშორისო ცნობა.

„ცრუსთავი-2“-ის მორიგი გესლნთხევა

მავნებლური და მტრული გამოხდომების ნაზავი

აქვს თუ არა აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას მილიონები...

და ისიც უკონტროლო?!

④

ევროპაც დაიხრჩო ესტაკადებში და მერე დაიწყო მათი დანგრევა

⑪

გამწარებული და ნერვების მომშლელი კი არა, მოქალაქეთა მოკავშირე

⑤

საჯარო რეესტრის მთავარი სლოგანი აღარ იქნება „ხარვეზი“ და „შეჩერება“...

ძალით თავ-გაბუღავებული, სახელად შალვა

③

შოუმენ რამიშვილს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ



ვაჟა კახრაავა:

ნიკიტამ გაგვაცილა, მედლები ლეონიდს ჩამოვუტანეთ

⑩

ვაჟა ლელუაშვილი და ოპოზიცია ურცხვად იტყუებიან!

გუშინ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან არაერთგზის გაჟღერდა ცრუ ინფორმაცია, რომ, თითქოს, პროკურატურის მიერ დაკავებული კუდ-ის დირექტორის ყოფილი მოადგილე ვაჟა ლელუაშვილი ჩართული იყო გარდაბნის გამგებლის 2016 წლის არჩევნებში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. „ქართული ოცნება“ ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ გავრცელებულ



ინფორმაციას არავითარი კავშირი არა აქვს სინამდვილესთან. გარდაბნის არჩევნებში ცენტრალური საარჩევნო შტაბის მუშაობას წარმართავდა პარტიის აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე, ხოლო ადგილობრივ შტაბს ხელმძღვანელობდა ვანო მირიანაშვილი. ვაჟა ლელუაშვილი არავითარი ფორმით (!) არ ყოფილა ჩართული გარდაბნის არჩევნებში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. სამწუხაროა, რომ დეზინფორმაციის ავტორებთან ერთად, აღნიშნული ცრუ ინფორმაცია არაერთგზის გააჟღერეს სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც. „ქართული ოცნება“ მოუწოდებს ოპოზიციურ პარტიებს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ განცხადებებს, დაიცვან პოლიტიკური ეთიკის სტანდარტები და ნებსით თუ უნებლიეთ არ შეუწყონ ხელი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანას.

„ქართული ოცნება“

◎ ძვირფასი სახელები – ფულის საშოვნელად?!

დიდ ივანე ჯავახიშვილს თურმე ხინკალი და ლუდი „ნაყვარება“...

ქალაქის ტრანსპორტის მესვეურთა თვალების ასახელად და ყურების გამოსაჩიჩქნად

— ნახე, ნახე! — ვიღაცამ იყვირა და მეც ეგრევე იქვე ჩამომდგარი ორნომრიანი ყვითელი „მარშრუტისკენ“ გამექცა მზერა, მაგრამ თვალებს არ დავუჯერე: მძღოლის კაბინის გვერდზე პატარა მაგიდას უზის (ბევრიც რომ იმარჩიელოთ, ალბათ, ვერც წარმოიდგენთ!) თვით დიდი ივანე ჯავახიშვილი, წინ ორთქლადენილი თავმოდგმული ხინკლის სინი და ლუდის ქაფგადმომდინარი კათხა უდგას (თვითონ ლუდი „ნატახტარია“, „ზედაზენი“ თუ „ყაზბეგი“ არ ჩანს)...

და დაქრის დაფეთებული ფარშავანგივით ქალაქში უცხოდ აჭრელებული ორნომრიანი ყვითელი „მარშრუტკა“ (განა ეს ერთი?!), როგორც ვიღაც ეჩემფეხება მეხინკლე თუ მელუდე ვაიბიზნესმენის მსრბოლი რეკლამა, რომლის ერთადერთი მიზანია, რაც შეიძლება მეტი და მეტი ფული აშოვნინოს, თანაც ძვირფასი ეროვნული სახელების ხარჯზე, მავანსა და

მავანს, ისედაც უკვე ფულის ტომარას, ვისაც ყველაზე სარცხვინელ ადგილზე ჰკიდია ჩვენი ისტორიაც, ერის საამაყო მოღვაწენიც და ერთადერთ სალოცავ კერპად გაუხდია სხვა არცრა ყუთი (მუთაქა უკვე გუშინდელი დღეა!), გარდა მაყუთით გატეხილი ფოლადის ყუთისა, რომელსაც ცხრაკლიტული სეიფი უქვია!...

და თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს ნახოხბარ დედაქალაქში ხვალ ეს მსრბოლ რეკლამად ქცეული ყვითელი „მარშრუტკები“ (რომელთა თვითნებური მოძრაობაც საერთოდ მისახედი და მოსაგვარებელია!) სულ ახალი და ახალი, ეროვნული გრძნობების შეურაცხმყოფელი რეკლამებით იფრთაჭრელებენ... და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ თვით თამარ მეფისა და ქეთევან წამებულის სახეებსაც მალე ვიხილავთ ფრიად და ფრიად საეჭვო საქმიანობის რეკლამებად გამოსახულთ.

ერთი სიტყვით, კერძო თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტისგან რა დღეშიც არის ჩვენი დედაქალაქი (და არა მარტო დედაქალაქი!), როგორც იტყვიან, ყველანი საკუთარ ტყავზე ვგრძნობთ ყოველწუთიერ საცობებში სულშეხუთულნი. და თავისი პირდაპირი დანიშნულებით ამ მხოლოდ და მხოლოდ გადაადგილების საზოგადოებრივ საშუალებებს, რომლებიც ისედაც ბარაქიანად იწველებიან ვიღაც-ვიღაცებისთვის, ასე ხელაღებით ნუ გადავაქცევთ ჩვენი ისტორიისა და დიდად სახელოვან მოღვაწეთა აშკარად პატივის ამყრელ მორბენალ რეკლამებად.

ამ ჩვენი გაფარშავანგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ანტირეკლამის უპირველესი მიზანიც სწორედ ეს არის.

ისმინეთ ამ საქმის მესვეურნო და შეისმინეთ, ნუ მისდევთ მთლად გამაუნამუსოებელ ხელის ჭუჭყის მცნებასა!

რაც შეეხება პირადად დიდ ივანე ჯავახიშვილს, ბევრად გიჯობთ, ნაარმევი ფულის შოვნას გადაყოლილნო, ერთხელ მაინც ჩაიხედოთ იმის უკვდავ „ქართველი ერის ისტორიაში“,. რათა გამანამდვილქართველებელი ივანეჯავახიშვილისეული ღვთიური მადლი წაგეცხოთ.

სხვაგვარად, გაგონილი მაინც გექნებათ, რომ რაც არ გერგებათ, საბოლოოდ მაინც არ შეგერგებათ!...

გურამ წიკლაური

◎ ფარული ჩანაწერები

ავადმყოფი ნაცების ძველი ხროვა

პროკურატურა დაკავებულების გვარებს ასახელებს

საძარცველოს პროკურატურის საკმაოდ ოპერატიული გამოძიების შედეგად გამოვლენილნი არიან ის პირები, რომელთაც მიმდინარე წლის 11 და 14 მარტს ინტერნეტსივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერები უკანონოდ მოიპოვეს და გაავრცელეს.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დაკავებულია ამ დანაშაულში მონაწილე 5 პირი, ერთი პირის დაკავება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მიემალა გამოძიებას, ხოლო ერთ პირს კი დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება.

კერძოდ, პროკურატურის მიერ დაკავებული არიან შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე **ვასილ ლელუაშვილი;**

ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი **რევაზ შიუკაშვილი;**

ამავე დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს ყოფილი უფროსი **რომან ზაალიშვილი;**

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს ყოფილი უფროსი **ირაკლი ყიფშიძე;**

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების ყოფილი უფროსი **ზურაბ პავლიაშვილი;**

შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილე **გიგლა შიოშვილი** მიემალა გამოძიებას, ხოლო კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის მე-6 სამმართველოს ყოფილ უფროსს **გივი კაციტაძეს** დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება, ვინაიდან მას დატოვებული აქვს საქართველოს საზღვრები და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2011-2012 წლებში, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილის ვასილ ლელუაშვილის ორგანიზებითა და დავალებით, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლები მაკომპრომატირებელი მასალის შეგროვების მიზნით, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების წინასწარ შერჩევას, უკანონო თვალთვალს და მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოპოვებას გამიზნულად აკეთებდნენ.

კერძოდ, დადგენილია, რომ 2012 წლის მაისში, საქართველოს შს სამინისტროს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსს ირაკლი ყიფშიძეს ჰქონდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2012 წლის 5 მაისს, ერთ-ერთი პოლიტიკოსი აპირებდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარე სასტუმროში გაჩერებას. ამ ფაქტის შესახებ მან შეატყობინა ვასილ ლელუაშვილს, რომლის დავალებითაც პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის ჩაწერის მიზნით, დაიგეგმა სასტუმროს ნომერში ფარული გადამღები მოწყობილობის დამონტაჟება. დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, 2012 წლის 5 მაისს, ვასილ ლელუაშვილის და ირაკლი ყიფშიძის დავალებით, შსს ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილმა თანამშრომლებმა ზურაბ პავლიაშვილმა და გიგლა შიოშვილმა ორგანიზება გაუწიეს სასტუმროს ნომერში ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებას, რითაც უკანონოდ მოიპოვეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

ამ ფაქტიდან ერთ თვეში, 2012 წლის 5 ივნისს, ვასილ ლელუაშვილის დავალებით, ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს იმჟამინდელმა უფროსმა რევაზ შიუკაშვილმა და მისმა მოადგილემ რომან ზაალიშვილმა ორგანიზება გაუწიეს ხსენებულ ბინაში ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებას და უკანონოდ მოიპოვეს ოპოზიციურად განწყობილი კიდევ ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

ჩატარებული გამოძიებით, ასევე გახსნილია ვასილ ლელუაშვილის ორგანიზებით განხორციელებული კიდევ ერთი დანაშაულებრივი ფაქტი, რომელიც ეხება 2013 წლის მაისში საჯარო სივრცეში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერის უკანონოდ მოპოვებას. კერძოდ, 2011 წლის დეკემბერში ქ.თბილისში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ვასილ ლელუაშვილის დავალებით კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის მე-6 სამმართველოს უფროსმა გივი კაციტაძემ ორგანიზება გაუწია ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებასა და ჟურნალისტის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის მოპოვებას.

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის და ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები სასამართლოს განჩინების საფუძველზე იქნენ დაკავებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. ეს დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

საქართველოს პროკურატურა აქტიურად განაგრძობს გამოძიებას პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების მოპოვება-გავრცელების ფაქტზე. გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებას დამატებით ეცნობება.

◎ კაკალ გულში

შუმერული სიბრძნისა არ იყოს!..

● იყიდება ევროპიდან ჩამოტანილი წინასაარჩევნო დაპირებები.

გვაქვს ახლებიც (ტაოტიანი) და ერთხელ გამოყენებულიც (ჩინურებს ბევრად სჯობს).

● 1 ღერი სიგარეტი მაქვს და „კურიერს“ ველოდები, რამე სანერვიულოზე რო მოვწიო.

● ის იყო თვლემისკენ წავედი, ზარი გაისმა. ჩემ წინ შავთმიანი, შავ კაბაში გამოწყობილი, ფეხებგაჩაჩხული ვირთხა პროფილში იდგა.

— გინდათ გესაუბროთ ჭეშმარიტ სექსზე? — მკითხა ვირთხამ და მარჯვენა ხელის მტევნით მუსიკალური სკოლის პირველკლასელივით მსხალი აიღო, ჩემს ცხვირთან მოიტანა და მოწყვიტა.

კარი სწრაფად დავხურე და... ისევ ზარი.

სადარბაზოში ჭრელაჭრელა ტანსაცმელში გამოწყობილი გნომი ვირთხისგან განსხვავებულ სხვა რაკურსში იდგა.

— გინდათ გესაუბროთ მაგიურ სექსზე? — ძალიან ინტიმური, მაგრამ საშინლად ყალბი ხმით იკითხა გნომმა.

— ფუი ეშმაკს! — წამოვიძახე.

დაწოლაც ვერ მოვასწარი, რომ ისევ ზარი!

— ჭეშმარიტი პოლიტიკა! როგორ შევწვათ კვერცხი! გადააკეთეთ ტანსაცმელი! შენ უკვე ნამდვილი ვარსკვლავი ხარ! აკრიფეთ ესემესი 900003890 და ხმა მიეცით თქვენს რჩეულს! მერა ჯუპა ე ჯაპანე! — ისმოდა ჩემი სართულის ბაქანზე.

კარი ფრთხილად მივხურე. ოთახში შევედი და ტელევიზორი ერთ-ერთ ოკუპანტურ არხზე გადავრთე!

● შტანგის აწევაში საქართველოს ჩემპიონატზე, რომელიც, ვთქვათ, 8 ოქტომბერს არის დანიშნული, მონაწილეობა რომ გადავწყვიტო და ავტეხო ყიჟინა, გინდა თუ არა 8-ში არ შეიძლება, მომზადებას ვერ მოვასწრებ და 15 ნოემბერს გადაიტანეთ-მეთქი, ხომ იქნება სრული იდიოტიზმი?

(არჩევნების თარიღთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟის სმაილიკი) ბოდიში მამითხოვია და რა ჩოხანების ამ მთელი თავიანთი პოლიტიკური „მოღვაწეობის“ პერიოდში იყვნენ, ისინივე იქნებიან 8 ოქტომბერსაც, 9 ნოემბერსაც და მთელი დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში!

● სანამ 8 ოქტომბერს არჩევნების თარიღის დანიშვნაზე აყვირდები, ნაციონალო, შენ მიერვე 2012 წლის პირველ ოქტომბერს დანიშნული არჩევნები გაიხსენე (შუმერული სიბრძნისა არ იყოს!).

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა!

დაპირებების 80 % უკვე შევასრულეთ, დარჩენილ 20 %-ს კი, არჩევნებამდე ამოვწურავთ. – ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ტელეკომპანის GDS-ის გადაცემა 20/30-ში განაცხადა.

მისი თქმით, ესაა მართალი ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებასთან ფარულ პოლიტიკას არ აწარმოებს.

„2012 წელს დაპირებებს სახელმწიფოზე დაკვირვების ფონზე ვიძლეოდით, რადგან ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან არანაირი წვდომა არ გვქონდა, მაგრამ პასუხისმგებლობას თითოეულ დაპირებაზე ვიღებთ. რეჟიმთან ბრძოლაში შესვლისა და მძიმე რეალობაში მუშაობის მიუხედავად, მაქსიმუმის გაკეთება შევძელით“, – განაცხადა სესიაშვილმა.

მისი თქმით ის პრაქტიკა, როცა ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდა და სახელმწიფო მანქანა საკუთარი ხალხისა და პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ ორგანიზაციად იყო გადაქცეული, წარსულს ჩაბარდა.

„ოპონენტებს ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ და გამოგონილი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე გვესაუბრებიან. ჩვენს მიერ ჩატარებულ არც ერთ არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსი არ გამოგვიყენებია, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებითაც დასტურდება“, – განაცხადა სესიაშვილმა.

ქალით თავ-გაბუღავებული, სახელად შალვა

შოუმენ რამიშვილს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ

მსახიობი თათია სამხარაძე შალვა რამიშვილს სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს და კონკრეტულ მტკიცებულებებზე საუბრობს. ამასთან დაკავშირებით თათია სამხარაძემ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ოფისში ქალთა მოძრაობის წევრებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა. თათია სამხარაძე აპირებს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტზე შალვა რამიშვილს სასამართლოში უჩივლოს. როგორც მან განაცხადა, არსებობს აუდიოჩანაწერი, რომელიც ამჟამად ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ავთენტურობაზე ექსპერტიზას გადის. **„ვდასტურებ, რომ შალვა რამიშვილი ახორციელებდა ჩემს სექსუალურ შევიწროებას. ამის შესახებ მე საუბარი მქონდა არხის დირექტორთან გიორგი ბახტაძესთანაც, ასევე მე გავაკეთე აუდიოჩანაწერი, სადაც რამიშვილი აღიარებდა, რომ ჩემზე ახორციელებდა სექსუალურ შევიწროებას. ის საუბრობს, რომ ის არის ოდიოზური ფიგურა, რომელსაც შეუძლია არათუ ადამიანები გაუშვას სამსახურებიდან, არამედ სხვა სამსახურშიც დაბლოკოს. ეს აუდიოფაილი ამ დროისთვის სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში გადის ექსპერტიზას და დგინდება მისი ავთენტურობა. მე დამიკავშირდნენ რამიშვილის ყოფილი თანამშრომელი გოგოებიც და მათაც იგივე პრობლემა აქვთ. მათი თქმით, შალვა რამიშვილი მათზეც ახორციელებდა სექსუალურ შევიწროებას. მე შევიტან სარჩელს სასამართლოში და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი სიმართლე დავამტკიცო. მე დავკარგე კარიერა, სამსახური და გეტყვით ერთს. არ მინდა ვიღაცის კარიერა ვიღაცის საწოლზე გადიოდეს“,** – განაცხადა თათია სამხარაძემ.

„შალვა რამიშვილის შოუს“ ყოფილი თანამშრომელი მარგო ლუჩკო, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ ტელევიზია საკუთარი სურვილით დატოვა, შალვა რამიშვილის მხრიდან წაყენებულ და მისთვის მიუღებელ ურთიერთობებს ასახელებს. „გადაცემიდან **„შალვა რამიშვილის შოუ“ ჩემი წასვლის მიზეზი ჩემს მორალურ პრინციპებთან შოუს ხელმძღვანელის შალვა რამიშვილის მხრიდან შეუსაბამო მოთხოვნების წამოყენება იყო. ამ საკითხს აღარ მინდა დავუბრუნდე. შეკითხვას, რომელიც ჟურნალისტებს შეიძლება გაუჩნდეთ, რატომ არ განვაცხადე მე თავის დროზე ამის შესახებ, ვპასუხობ: მე არ განვეკუთვნები ისეთი ადამიანების რიცხვს, რომლებსაც სააშკარაოზე გამოაქვთ შიდა სამზარეულო, მითუმეტეს თუ პროფესიული თანამშრომლობა ხელმძღვანელის მხრიდან სხვა სახის, ჩემთვის სრულიად მიუღებელ ურთიერთობებს გულისხმობს“,** – წერს ლუჩკო.

სამეგრელოს მხარე

დასავლეთიო, „ვაშინერს!“

საზოგადოება „ზუგდიდელის“ (თავმჯდომარე ოთარ ფაცაცია) ინიციატივითა და ძალისხმევით ზუდგიდის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ამ დღეებში შეიკრიბნენ და საქართველოში მიმდინარე პროცესები და მოვლენები განიხილეს.

„ზუგდიდელის“ თავმჯდომარის მოადგილის მურმან ნაჭყებიას განცხადებით ამჟამად საქართველოში სამი მიმართულებით არიან გააქტიურებულნი ქართული ეროვნული ტრადიციების მოძულენი „ლგბტ-ს ლეგალიზაცია, ერთსქესიანთა ქორწინების დამკვიდრება და მარიხუანას დეკრიმინალიზაცია – ეს არის ის ყოვლად მიუღებელი პრინციპები, რომლის მიღებაც და დამკვიდრებაც სურთ ჩვენს მტრებს. ჩვენ ვგმობთ და ვემიჯნებით ამ უმსგავსოებებს, რომელიც მომდინარეობს დასავლეთიდან. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ეროვნული ტრადიციების, ჩვენი მორალურ-ზნეობრივი პრინციპების შენარჩუნებისთვის. მეგრელებს გვაქვს ერთი განუმეორებელი სიტყვა „ვაშინერს!“ და ამ ერთ სიტყვაში ყველაფერია ნათქვამი, რაც მიუღებელი და შეუძლებელია, – აღნიშნა მურმან ნაჭყებიამ. მის ამ პათოსს დარბაზში მყოფნი ერთსულოვნად დაეთანხმნენ.

ამ სხდომაზე ითქვა, რომ დაიწყება ხელმოწერების შეგროვება, რომელიც მიმართული იქნება ლგბტ-ს, ერთსქესიანთა ქორწინებისა და მარიხუანას დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგ. გამომსვლელებმა გამოთქვეს მოსაზრებები, რომ ამ მოთხოვნებს დაემატოს მართლმადიდებლობის დაცვის, პირადობის დოკუმენტებში მამის სახელისა და ეროვნების დამკვიდრების საკითხებიც.

„ოდიშში“ გამოფენილი თეთრეული, საცვლები და... სიმახინჯე

ძართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულებმა ვინ სად? და ვინ სად? შეაფარეს თავი. ვისაც „გაუმართლა“ ზუგდიდის ცენტრში მდებარე სასტუმრო „ოდიშში“ დამკვიდრდა და აგერ 23 წელია, აქ არიან გაწამებულნი, ამიტომაც ამ ხნის განმავლობაში ცენტრალური – რუსთაველისა და გამსახურდიას ქუჩები მეტად ორიგინალურად გამოიყურება.

გალამაზდა ზუგდიდი. უფრო და უფრო კეთილმოწყობილი გახდა, მაგრამ ყველაფერი წყალში იყრება, რადგან სასტუმრო ოდიშის მე-2 და მე-3 სართულის აივნებიდან ტრანსფარანტებივით გამოფენილია ფერად-ფერადი თეთრეულები, საბნები, შარვლები, პერანგები, საცვლები და ა.შ., რაც ნამდვილად აუშნოებს ქალაქის იერ-სახეს.

ქალაქის ცენტრში დამკვიდრებულ დევნილებს სულაც არ უნდათ ქალაქის გარეუბნებში თუ პერიფერიებში გადასვლა, მაგრამ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა იღონოს, რომ „ოდიშიდან“ დევნილები ახალ სახლებში განათავსონ, სხვაგვარად ზუგდიდი კეთილმოწყობილი ქალაქი ვერასოდეს გახდება.

ლადო ქირია.
ჩვენი კორ.

განვითარების სტრატეგია

ეკონომიკური „ხერხემლის“ გასაძლიერებლად

ბუნებრივია, რომ ცალკე სამეწარმეო სუბიექტებად აღქმული და, შესაბამისად, ბიუჯეტში მეტი თანხის გადამხდელ დიდ საწარმოსა თუ კომპანიას სხვაზე მეტი წონაც აქვს და გავლენაც. მაგრამ, ამის მიუხედავად, ეკონომიკურად (და სოციალურადაც!) უკლებლივ ყველა გამართულ ქვეყანაში, მეწარმეობის ხერხემალს მაინც მცირე და საშუალო ბიზნესი წარმოადგენს. ამიტომაცაა, რომ იქაური მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე სწორედ საშუალო კლასის ეკონომიკური წარმატებების შედეგია. ამდენად, საშუალო და მცირე ბიზნესი სახელმწიფოსგან უდიდესი გულისყურით მიდგომას რომ საჭიროებს, ამაზე თითქოს მეორე აზრი არ უნდა არსებობდეს, თუმცა კი წლების მანძილზე ჩვენებური რეალობა სხვას მოწმობს.

ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საშუალო და მცირე მეწარმეობას ქვეყანაში დიდი გასაქანი უნდა მიეცეს, აგერ უკვე თითქმის სამი ათეული წელია, გაისმის სხვადასხვა დონეზე, ბევრი წმინდა წყლის პოპულისტური, მოჩვენებითი ნაბიჯიც გადაიდგა, ბევრიც გაკეთდა, მაგრამ არანაკლებიც გასაკეთებელი დარჩა. სწორედ ამის შესახებ აცხადებდნენ ბოლო დროს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, ეკონომიკის ექსპერტები, რომ საჭიროა საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება. ამ სფეროში რამდენიმეწლიანი პაუზის განმავლობაში, როგორც ჩანს, საკითხზე გარკვეული სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა, რომელიც ახლახან დასრულდა. იგი 2016-2020 წლების ვადაზეა გათვლილი და უახლოეს დროში პარლამენტში განიხილება.

„მცირე და საშუალო საწარმოთა“ შესახებ ახალი კანონპროექტი სამი მიზნის განხორციელებას ითვალისწინებს: **2020 წლისთავის მცირე და საშუალო საწარმოთა გამომუშავების წლიურად, საშუალოდ, 10 პროცენტით გაზრდას; 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 15-პროცენტიან ზრდას; ამავე ვადისთვის მწარმოებლობის 7-პროცენტიან მატებას.** არსებული ინფორმაციით, სტრატეგიის შესრულების პროცესში მის შესასრულებლად საჭირო რეგულაციები იქნება შემოღებული.

სტრატეგია ხუთი მიმართულებითა გაშლილი, მათ შორის: **1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; 2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის გაფართოება; 3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების უზრუნველყოფა; 4. ექსპორტის ხელშეწყობა, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; 5. ინოვაციების, კვლევებისა და განვითარების წახალისება.**

ამასთან დაკავშირებით, ექსპერტებიც და თავად მცირე ბიზნესის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, რომ კანონპროექტში უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მასში განსაზღვრულია კონკრეტულად გადასადგმელი ნაბიჯების ვადები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამინისტროები, სხვა სახელმწიფო უწყებები, კერძოდ, ეროვნული ბანკი, მეწარმეობის განვითარების, ასევე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოები, საქსტატი და სხვა.

უაღრესად მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ „მცირე და საშუალო საწარმოთა“ შესახებ კანონპროექტს ასეთი საწარმოებისა და კომპანიებისთვის განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმის შემოღება უნდა მოყვეს – ფინანსთა სამინისტრომ „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონპროექტი მოამზადა, რომელიც პარლამენტმა ასევე უახლოეს მომავალში უნდა განიხილოს. მასში მრავალი საგულისხმო მომენტია, რომელთა შორის აღსანიშნავია ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების სტატუსების განსაზღვრა, ბუღალტრული აღრიცხვისა და საგადასახადო შემოწმების გამარტივება და სხვა.

ეროვნული ეკონომიკისთვის აშკარად ფუძემდებლური უნდა იყოს მიკრობიზნესის საწარმოს სტატუსის მისაღებად ბრუნვის მოცულობის 30 ათასი ლარიდან მილიონ ლარამდე, მცირე ბიზნესის სტატუსის მისაღებად ერთიდან ათ მილიონ ლარამდე, ხოლო საშუალო ბიზნესის სტატუსის მისაღებად 50 მილიონ ლარამდე გაზრდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში მდგომარეობა საგანგაშო რომაა, ამას რამდენიმე სტატისტიკური მონაცემებიც მოწმობს: **თუ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების სათავეში ყოფნის ცხრა წლის მანძილზე საქართველოში მთლიანად 70 ათასი მცირე საწარმო დაიხურა, 2011-13 წლების შუალედში ასეთთა რიცხვმა 27 ათასი შეადგინა, რაც უაღრესად საგანგაშოა.**

დღესდღეობით მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყება, მართალია, ბიუროკრატიულად ძნელი არ არის, მაგრამ ბევრ პრობლემასა და რისკთანაა დაკავშირებული, რომელთაგან უმთავრესი, ცხადია, პირველადი კაპიტალია პრობლემა, რასაც, წყაროს გამოძებნის გარდა, ლარის დევალვაციის დონის გათვალისწინებაც და კიდევ მრავალი სხვა გარემოების გათვალისწინება სჭირდება.

– მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ის ძირითადი ამოცანაა, რომელიც ჩვენს ხელისუფლების წინაშე დგას, – განაცხადა საკითხთან დაკავშირებით ვიცეპრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა. **– კარგად გვაქვს გათვითცნობიერებული, რომ სწორედ მცირე და საშუალო მეწარმეობამ უნდა შექმნას სამუშაო ადგილების უმეტესი ნაწილი და ქვეყნის განვითარება სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა წარიმართოს,** – დასძინა მინისტრმა.

ოთარ ტურაბელიძე

ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ... ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲣᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ?!

„ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „PS“-ᲡᲐ ᲓᲐ „ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲙᲣᲠᲘᲔᲠᲨᲘ“ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.

„ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲢᲙᲘᲝᲓᲔᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲓᲣᲚᲓᲔᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲘᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘᲡ „ᲒᲐᲡᲐᲐᲠᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ“ ᲘᲭᲝᲠᲐᲝ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ, ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡᲐᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲡᲬᲕᲓᲔᲑᲘ ᲕᲔᲠᲪ ᲬᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲣᲚᲘᲗ“! — ᲐᲡᲔᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲜ **ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-ᲘᲡ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „PS“-ᲡᲐ ᲓᲐ „ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲙᲣᲠᲘᲔᲠᲨᲘ“ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.**

— გადაცემას თავიდან ბოლომდე დაჰყვება ტენდენციურობა, — ამბობს ჩვენთან ინტერვიუში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ᲐᲜᲖᲝᲠ ᲬᲝᲬᲝᲜᲐᲕᲐ,** — რატომ იყო გასაქილიკებელი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გამონათქვამი **„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური სტრუქტურების არსებობა რომ არა, შეიძლება აფხაზეთის დაბრუნების იდეაც კი მოკვდესო“.** იმის მაგივრად, რომ ამ პრობლემის მხარდასაჭერად რაიმე სასიკეთო ეთქვათ, „რუსთავი-2“-მა ეს აზრი ვითომდაც ძვირადღირებული მანქანების, ფუფუნებაში და განცხრომაში მყოფი მილიონობით ლარების ხარჯვით დაკავებულ ჩინოვნიკებზე მოჭორილი ფაქტებით შეფუთა!

— მართლაც, რა არის თქვენი ფუნქცია, რისთვის არსებობს აფხაზეთის ხელისუფლება „უაფხაზეთოდ“?

— რას ჰქვია უაფხაზეთოდ? 300 ათასზე მეტი დევნილი „უაფხაზეთობაა?“ საქართველოს დედაქალაქში მუშაობენ აფხაზეთიდან დევნილი, ლეგიტიმური ხელისუფლების სტრუქტურები. ჩვენ პოლიტიკური მისია გვაკისრია. სანამ აფხაზეთში იურისდიქცია არ აღდგება და იქ ლეგიტიმური არჩევნები არ ჩატარდება, პოლიტიკურმა ბირთვმა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სახელით უნდა იმუშაოს! კიდევ ერთხელ განგიმარტავთ : საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 10 მარტის დადგენილებით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიენიჭა დროებით ევაკუირებული ორგანოს სტატუსი; რომელსაც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი არჩევნების ჩატარებამდე აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციების განხორციელების უფლება მიეცა. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის 24 თებერვლის დადგენილებით კი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობითს და საკანონმდებლო ორგანოდ — უმაღლეს საბჭოდ აღიარეს 1991 წელს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩეული ის დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხატავდნენ აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილის ინტერესებს და გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებასთან ერთად არ მონაწილეობდნენ ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში.

„აფხაზეთში კონფლიქტების მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის №186-IIს დადგენილებით კი თბილისში განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭოს აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესის გამომხატველი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოებად დადასტურდა.

თბილისში განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოსათვის ლეგიტიმაციის მინიჭება განპირობებული იყო აფხაზეთში არსებული ხელისუფლების ვაკუუმით, რაც სეპარატისტთა დაჯგუფებას საშუალებას აძლევდა გაეხანგრძლივებინა დანაშაულებრივი უზურპატორული საქმიანობა, არ დაეშვა დევნილთა დაბრუნება, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივი აღდგენა აფხაზეთის რეგიონში. ამასთან, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება, შეთანხმება და განცხადება ბათილად ითვლება.

— ᲠᲣᲓᲘᲙ ᲪᲐᲢᲐᲕᲐ (ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ):

— ვინც იცის, არ დაიჯერებს, მაგრამ ვინც არ არის ჩახედული დეტალებში, ის ადვილად მოექცევა „რუსთავი-2“-ის ნეგატიური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ. მთელი სიუჟეტი იყო მიზანმიმართული პროვოკაცია აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ. სიუჟეტში ნეპოტიზმზე საუბრობენ და თანაც აქ არჩევნების ჩატარების მომხრენი არიან. არ ესმით, რომ როგორც კი აქ ჩავატარებთ მონოეთნიკურ არჩევნებს აფხაზების, ქართველების, ებრაელების, რუსების, სომხების, ბერძნების თუ უკრაინელების და სხვა ეროვნების ხალხის გარეშე, რომლებიც ასევე აფხაზეთის მკვიდრები არიან და უმეტესობა დევნილობაში ცხოვრობს, ჩვენ ყველა იქ უჩვენოდ ჩატარებულ არჩევნებს (რომელსაც მსოფლიო არ ცნობს) და აფხაზეთის დამოუკიდებლობას ავტომატურად ვაღიარებთ?! იქნებ სწორედ ამ დავალებით არის გადმოსროლილი „დესანტი“ რუსეთიდან? ადრეც, დიდ ხმაურს ტეხდა ვინმე ჯონი კვარაცხელია, „ლაზარეს“ სახელით რომ მოგვევლინა. კი, მაგრამ ეს ის კვარაცხელია არ არის მოსკოვში ხომერიკებთან და სხვებთან ერთად რუსეთის დიდების სადღეგრძელოებს რომ სვამდა და სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად „კარგად“ მუშაობდა? არ მიკვირს, მათი გააქტიურება. ვიცით ბევრი რამ...რაც შეეხება ე.წ. ნეპოტიზმის ფაქტებს აფხაზეთის ხელისუფლებაში, სიუჟეტის „გმირები“ მალხაზ პატარაია — ყოფილი თანამშრომელი, ასევე ხათუნა გადელია — აფხაზეთის ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, აქცენტს აკეთებენ ნეპოტიზმსა და დეპუტატთა დანამატებზე? როცა ბატონი მალხაზი მუშაობდა აფხაზეთის ტელევიზიის თავმჯდომარის მოადგილედ, მასთან ერთად მუშაობდნენ (დღესაც მუშაობენ) მისი ძმა და მისი ცოლი. ხათუნა გადელიას 3-4 ნათესავიც, დები, დისშვილი, სიძე დღემდე აფხაზეთის სტრუქტურებში არიან დასაქმებული. განაწყენდა, რომ მათი ოჯახიდან მხოლოდ ის არ მუშაობს აფხაზეთის სტრუქტურებში? თუკი გოგიჩაიშვილს სურდა, რომ თუნდაც იოტისოდენად მაინც წარმოჩენილიყო როგორც ობიექტური ჟურნალისტი, თავად გადელიასთვის უნდა ეკითხა, რატომ იღებდა ის აფხაზეთის მთავრობაში მუშაობის დროს ყოველკვარტალურ პრემიებს, მაშინ როცა დღევანდელი მთავრობის, აპარატის წევრები და სხვები წელიწადში მხოლოდ ერთხელ იღებენ პრემიას მე-13 ხელფასის სახით და იშვიათობაა წახალისების შემთხვევები, როცა ადამიანები მართლაც იმსახურებენ? ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ვერ მიხვდეს, რომ სიუჟეტი, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში 3-ჯერ გავიდა „რუსთავი-2“-ის ეთერში, არის მავანთა პოლიტიკური შეკვეთა, რათა მიზანმიმართულად გააშავონ ისინი, რომლებიც ახლა ცდილობენ გაასწოროს ნაციონალური ხელისუფლების დროს ჩადენილი უკანონობები.

ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲧᲝᲚᲑᲐᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲡ“ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠᲘᲐ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲔᲒᲘᲢᲘᲛᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲒᲝᲠ ᲙᲝᲞᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ:

— არასწორია სიუჟეტის ერთ-ერთი რესპონდენტის ექსპერტული „დასკვნა“ რომ მთავრობის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი და მოიხმო აფხაზეთის კონსტიტუციის 112 პრიმა მუხლი. ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის წინასწარგანზრახული მცდელობაა. აი, კონსტიტუციის ეს მუხლი, სად წერია ის, რაც „ექსპერტმა“ განაცხადა?

— წავიკითხე... აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 112 -ე პრიმა მუხლის მე-2 პუნქტში გარკვევით წერია: „აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარეს საქართველოს პრეზინდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო“.ფიქრობთ, რომ ლეგიტიმური აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს როლის დაკნინება სურთ?

— მე რას ვფიქრობ ის ერთია, მაგრამ არ შეიძლება კანონს ისე კითხულობდე, როგორც ვიღაცას აწყობს.

— აბა, რაშია პრობლემა?

— აფხაზეთის ხელისუფლება დღემდე 1978 წლის კონსტიტუციით ხელმძღვანელობს. ამ კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის დანიშვნა-გადაყენებაში საქართველოს პრეზიდენტი არ მონაწილეობდა, ვიდრე საკაშვილმა არ შემოიღო ეს ნორმა 2004 წელს. თუმცა, 2013 წელს ამოქმედდა ახალი კონსტიტუციური ნორმა, საიდანაც პრეზიდენტის მონაწილეობა ამ საქმეში ამოღებულია. იქ აფხაზეთი საერთოდ „გამქრალია“. ამდენად აღმოვჩდით ჩიხში, სწორედ ამიტომ შემოვიღეთ ჩვენი კონსტიტუციური ნორმა — „მოვალეობის შემსრულებლის შესახებ“. ასეთი ინსტიტუტის შემოღება უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა და შესაბამისად ლეგიტიმურიც. 2 წელზე მეტია, ღიად არის დარჩენილი საკითხი, ჩვენი ინიციატივის შესახებ, გვსურს, საქართველოს კონსტიტუციაში განისაზღვროს ისეთივე წესი, როგორიც არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნისას. დღეს საქართველოს პრეზიდენტი ვერ გამოსცემს სამართლებრივ აქტს. აი ესაა სიმართლე.

— ბატონო იგორ, სიუჟეტში დევნილებმა გამოთქვეს საყვედურები აფხაზეთის ხელისუფლების მისამართით, თქვენი აზრით, ეს რამდენად საფუძვლიანია?

— მე გახლავართ აფხაზეთის მთავრობის წევრი და ვიცი, თუ რა სამუშაოებსა და ღონისძიებებს ეწევა და ატარებს უწყებები, ვიცი, თუ რა ინტენსიურობით ხვდებიან მთავრობის წევრები დევნილებს ადგილებზეც. ახალი მთავრობის ჩამოყალიბებისთანავე მთავრობის ხელმძღვანელისგან მოგვეცა დავალება მაქსიმალურად დავხარჯულიყავით დევნილთა ყოფითი თუ სხვა სახის პრობლემების წამოწევისა და მოგვარების საკითხებში. ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინირებული თანამშრომლობით დავიწყეთ მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება. იმერეთში, კერძოდ, ქ. ქუთაისში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სპეციალური ცენტრი — „ბიზნეს-ინკუბატორი“; ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში, გამყოფ ხაზთან მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების მიერ უკვე მეორე წელია, დაიწყო და მიმდინარეობს ერთწლიანი კულტურული მოსავლის მოყვანა, რომლის მონაგარს ამ პროექტის უშუალო მონაწილენი მოიხმარენ. უცხოელი პარტნიორები, სად წერია ეს, ან ვინ ამბობს, ან ვინ ამტკიცებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებს, ან ვინ ადასტურებ

ბის ხელშეწყობით შეიქმნა სამკერვალო, საამქრო, სასათბურე მეურნეობა, დამატებით მიმდინარეობს მცირე სასათბურე კონსტრუქციების მშენებლობა, სადაც საქმდებიან დევნილები. დიდი ყურადღება ეთმობა დევნილთა ჯანდაცვას. ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს. მიმდინარეობს აფხაზური კულტურის წარმოჩენა არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. ვფიქრობ, დღევანდელი მთავრობა უფრო მოქნილი და მოტივირებულია და მისი საქმიანობა საბოლოოდ მიმართულია დევნილი მოსახლეობის მშობლიურ სახლებში უპირობო, ღირსეულ და უსაფრთხო დაბრუნებისკენ.

„უკონტროლო მილიონები, რომელიც დანიშნულებამდე ვერ აღწევს!“ — ამ ფრაზით დამთავრდა გოგიჩაიშვილის სიუჟეტი, რომელშიც საუბარი იყო იმაზე, რომ აფხაზეთის სტრუქტურებს, მთავრობას აქვს ფინანსები, რათა ხალხს დაეხმაროს, აქვს გაქირავებული ფართები, იჯარით გაცემული ობიექტები, შპს-ეები და ა.შ. , მაგრამ გადასახადებს არ იხდის.

ასეთ ბრალდებებს უპასუხებს აფხაზეთის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა გოგია:**

— სიუჟეტი ისე მომზადდა, რომ ჩვენს უწყებას არავინ დაკავშირებია. ეს იყო მხარე, რომელიც ცალმხრივად გვიყენებდა ბრალდებებს...

— მაგალითად, საუბარი იყო 11 ავტომანქანაზე, რომელიც სამინისტრომ გასაყიდად გადასცა „ავტოტრასსერვისს“. 32 ათას ლარად გაიყიდა მანქანები, მაგრამ თანხა ბიუჯეტში არ ჩანს.. ეს სიმართლეა?

— ყოფილი ხელისუფლების დროს მართლაც არ ჩანდა ბიუჯეტში, ჩვენ მივიღეთ უკვე ამორტიზებული მანქანები, მეორადი. „ავტოტრანსსერვისმა“ აუქციონის წესით გაყიდა მანქანები, სულ 32 ათასი ლარის. ბევრია? სხვათა შორის, ეს ამ ტელევიზიის დირექტორის (დევნილის) დაახლოებით 10 დღის ხელფასია(?!). ჩვენივე ინიციატივით ამ თანხით გავხსენით ბლოკის საამქრო, ავტოსამრეცხაო, მოეწყო ბოქსები. ეს გაიხსნა ნავთლუღის ტერიტორიაზე, რომელიც მოვლა-პატრონობის მიზნით გვაქვს გადმოცემული. აქ იყო ცარიელი მინდორი, რომელიც ჩვენ მანქანების გაყიდვით მიღებული თანხით საწარმოდ ვაქციეთ. რა თქმა უნდა, დავასაქმეთ დევნილები... მიღებული მოგებიდან 50 ათასი ლარი სოციალური პროექტების დასაფინანსებლად მივმართეთ. შემოსული თანხის ნაწილი კი საწარმოს რეინვესტირებას ხმარდება. ამას გარდა სულ 17 „შპს“ არის ჩვენს ბალანსზე. ძირითადად სამედიცინო კლინიკები. აქედან 6 აბსოლუტურად კანონიერ ჩარჩოებში არის მოქცეული. დანარჩენების იურიდიული სტატუსი ჯერ ისევ მოსაგვარებელია. ჩვენ ვითხოვთ უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით ობიექტების გადმოცემას. ჩვენგან ყველა სავალდებულო პროცესი ინიციირებულია, ახლა ველოდებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას...სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ პოლიკლინიკები დაფუძნებულია 100%-იანი სახელმწიფო წილით და არავის მოუკითხავს 2014 წლამდე. მოიკითხა ახალმა მთავრობამ, ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ. ეს დანაშაულია? 2014 წლის შედეგებიდან გამომდინარე, მათ პირველად ჩარიცხეს მოგების გადასახადი აფხაზეთის ბიუჯეტში. რეინვესტირებული თანხებით აშენდა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა ზუგდიდის პოლიკლინიკა, შეძენილია ჯვარის ცენტრში ფართი. ამით გამოთავისუფლდება იჯარის გადასახადი და ესეც მოხმარდება დევნილებს.

— სიუჟეტში აქცენტი იმაზეა გაკეთებული, რომ თქვენ გაქვთ მოგება, მაგრამ გადასახადებს არ იხდით...

— ყველა შპს გვაბარებს როგორც კვარტალურ, ისე წლიურ ანგარიშს. შარშან საშემოსავლოს სახით ცენტრალურ ბიუჯეტში გადავიხადეთ 350 ათასი ლარი. ასევე, აფხაზეთის ხაზინაში მივმართეთ გადასახადები. სხვა თუ არაფერი, 500-მდე ადამიანი გვყავს დასაქმებული. ეს არის პროფესიონალი, კვალიფიციური კადრები, რომლებიც უნდა შევინარჩუნოთ...

— საუბარია მილიონობით შემოსავალზე...

— ჩვენ განვკარგავთ მილიონობით ღირებულების უძრავ-მოძრავ ქონებას, მაგრამ ჩვენ ამ ქონებაზე შეზღუდული უფლება გვაქვს, ჩვენ ვართ მოსარგებლეები და არა მესაკუთრეები.

— და მაინც სად მიდის უკონტროლო მილიონები?

— შეიძლება სახელმწიფო სტრუქტურაში იყოს უკონტროლო მილიონები? ჩვენ ხომ მაკონტროლებლები და შემმოწმებლები გვყავს? ჩვენი ბიუჯეტი სულ 9 მილიონი ლარია, რომელიც ძირითადად ხელფასების გასასტუმრებლად იხარჯება. მაგრამ საჯარო მოხელეების უკან ხომ ადამიანები დგანან და ამ თანხით ვინარჩუნებთ დევნილ ოჯახებს, კვალიფიციურ კადრებს, ჩვენ რა არ უნდა დავბრუნდეთ? ერთი მინდა შეგახსენოთ, წინა ხელისუფლების დროს ერთი ხელის მოწერით „რუსთავი-2“-ს ჩამოაწერეს 32 მილიონი ლარი. სად წავიდა ეს მილიონები? ეს ხომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თითქმის 3 წლინახევრის ბიუჯეტის თანხაა?

„რუსთავი-2“-ის გადაცემებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხვა წევრებზეც იყო საუბარი, მათ შორის ჯანდაცვის მინისტრზე, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტზე. იმის შესახებ, თუ რას შეეხებოდა ბრალდებები და რა არგუმენტები აქვთ მთავრობის წარმომადგენლებს, მასალას მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

თეა მოსია

გამწარებული და ნერვების მომშლელი კი არა, მოქალაქეთა მოკავშირე

საქართველოში მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა მარტივდება და საკანონმდებლო დონეზე ის ბარიერები მოიხსნება, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა. თუ წარსულში საჯარო რეესტრი ელემენტარული ხარვეზის გამო მოქალაქეს პრობლემებს უქმნიდა, მომავალში უწყება მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე იქნება და მესაკუთრეს საარქივო დოკუმენტაციის მოძიებაში დაეხმარება.

მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მთავრობამ შესაბამისი რეფორმა მოამზადა, რომელიც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პარლამენტს წარუდგინა და განმარტა, რომ საჯარო რეესტრი მოქალაქეების გამწამებელი და ნერვების მომშლელი აღარ იქნება და ის საზოგადოების მოკავშირე გახდება.

საჯარო რეესტრის მთავარი სლოგანი აღარ იქნება „ხარვეზი“ და „შეჩერება“...

მინისტრის ცნობით, ქვეყანაში მიწის რეგისტრაციის პრობლემა არსებობდა, დღესაც არსებობს და სახელმწიფოს ისეთი ცვლილებების განხორციელება სჭირდება, რომელიც ახალ პრობლემებს არ მოიტანს და არსებულს გადაჭრის. მისი თქმით, საქართველოში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25 პროცენტია დარეგისტრირებული, რაც ძალიან ცოტაა. შესაბამისად, ამ სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდება.

„რეფორმამ მოქალაქეები უნდა წაახალისოს და მათ საჯარო რეესტრში ის დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ, სახლში რომ უდევთ და ნაკვეთის დასარეგისტრირებლად არ მიდიან, რადგან პრობლემა ექმნებათ. არსებული კანონმდებლობით, თუკი ორი საბუთი გაქვს, ხუთს მოგთხოვენ, ხოლო თუ ხუთივე საბუთი გაქვს, მაშინ ერთი ბეჭედის არარსებობის გამო დოკუმენტაცია მთლიანად დაგიხარვეზდება. დიდი გზა უნდა გაიარო იმისთვის, რომ მიწაზე იმ საკუთრების რეგისტრაციას მიაღწიოს, რომელზეც არც მეზობელი და არც სახელმწიფო არ გედავება, რომ შენია. მინდა, რომ ასეთი ადამიანები წავახალისო“, — განაცხადა წულუკიანმა.

გამოსვლისას მინისტრმა უკმაყოფილება აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი კომპანიების მიმართ გამოთქვა და აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევაში, ხარვეზიანი ნახაზის გამო, მოქალაქეებს ბარიერები ექმნებათ.

წულუკიანის განმარტებით, რეფორმა ამ ტიპის საქმიანობასაც შეეხება და საამზომველო ნახაზის ერთიანი სტანდარტი შემუშავდება, ხოლო პროექტში ჩართული ამზომველები სერტიფიკაციას გაივლიან.

„ზოგიერთ საამზომველო ფირმას არა მხოლოდ ცოდნის პრობლემა აქვს, არამედ იმ პრობლემის წყაროა, რასაც საამზომველო საქმიანობის საფასური ჰქვია. სოფელ ხრეიოთში, ამზომველმა ერთი ჰექტარის აზომვისთვის 500 ლარი მოითხოვა. ირკვევა, რომ ზოგიერთი კომპანია ერთ ჰექტარს 50 ლარად ზომავს, ზოგიერთი 250 ლარად ან 500 ლარად. მიწის აზომვის საფასურს მთავრობა დაადგენს“, — აღნიშნა მინისტრმა.

აღნიშნულ რეფორმაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საჯარო რეესტრის მიდგომების გარდაქმნა იქნება. კერძოდ, წულუკიანის განმარტებით, სახელმწიფო მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში დაეხმარება.

„დღესდღეობით, მოქალაქე ვალდებულია, მიწის რეგისტრაციისას მარეგისტრირებელ ორგანოს სრული დოკუმენტაცია წარუდგინოს, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს. დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი, საჯარო რეესტრი ქონების რეგისტრაციაზე უარს ამბობს. თუკი ამჟამად, საჯარო რეესტრის ჯადოსნური სიტყვები - „ხარვეზი“ და „შეჩერებაა“, მომავალში, უწყება მიწის რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება და მოქალაქეს დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის მოძიებაში დაეხმარება. საჯარო რეესტრის მთავარი სლოგანი — „ხარვეზი“ და „შეჩერება“ აღარ იქნება“, — აცხადებს მინისტრი.

წულუკიანი ვარაუდობს, რომ მესაკუთრეებს ორი წელი დასჭირდებათ, რომ მიწები დაირეგისტრირონ.

„საჯარო რეესტრი იქნება არა გამწამებელი და ნერვების მომშლელი, არამედ როგორც პარტნიორი“, — დასძენს მინისტრი, რომელიც ყურადღებას რეფორმით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზეც ამახვილებს.

მინისტრის განცხადებით, ქონების რეგისტრაციაზე უარის მიზეზი მხოლოდ დოკუმენტებში არსებული მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გახდება და ხარვეზიანი დოკუმენტებიც ნაღიარები იქნება, თუკი ის მეორეხარისხოვანია.

„ისეთ დოკუმენტებს არ დავახარვეზებთ, როგორიცაა: მებაღის წიგნაკი, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.“, — ამბობს მინისტრი.

რეფორმის გატარების მიუხედავად, იუსტიციის მინისტრი არ ფიქრობს, რომ დავები მაინც აღარ გვექნება.

„ილუზიაში არ ვართ, რომ დავები აღარ იქნება, მაგრამ მოლოდინი გვაქვს, რომ დავები ნაკლები იქნება. შეიძლება, სამეზობლო დავა მაინც იყოს. სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაში დაეხმარება და მოქალაქეს დავის მოგვარების სწრაფ და იაფ მეთოდს შესთავაზებს. დავის შემთხვევაში, მოქალაქეს არჩევანი ექნება — მედიაციით ისარგებლოს, თუ სასამართლოს მიმართოს, სადაც საკუთრების უფლებას დაიცავს“, — განმარტავს წულუკიანი.

მინისტრის ინფორმაციით, რეფორმის გატარებისთვის დაახლოებით 4,5 მილიონი ლარი დაიხარჯება.

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები, როგორიცაა: დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, მედიაცია, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია უსასყიდლოდ შესრულდება“, — აცხადებს წულუკიანი, რომლის მიერ მომზადებული რეფორმით უმრავლესობა კმაყოფილია, ოპოზიცია ტრადიციისამებრ — უკმაყოფილო.

როგორც for.ge-ს მესტიის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვიქტორ ჯაფარიძემ განუცხადა, იუსტიციის სამინისტროს საკმაოდ სერიოზული სამუშაო აქვს გატარებული და შენიშვნებიც — გათვალისწინებული.

მისი თქმით, თუ რომელიმე საკითხი კანონით ვერ მოწესრიგდება, მთავრობის დადგენილებით, მოსახლეობას მიწა პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცემა.

„სვანეთში ის პრობლემაა, რომ ადამიანებს ისტორიულად მიწები გადაცემული აქვთ, მაგრამ, ფაქტობრივად, ის მიწები მათი არ არის. რეალობაში, ადამიანებს ამ მიწების ბანკში ჩადება რომ დასჭირდეთ, ვერ ჩადებენ“, — დასძენს ჯაფარიძე.

მომზადებული ცვლილებების მნიშვნელობაზე აპელირებს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გელა სამხარაული. for.ge-სთან საუბარში სამხარაული აცხადებს, რომ საფუძველი მნიშვნელოვან რეფორმას ეყრება, რადგან ქვეყანას ეს პრობლემა დიდი ხანია, აწუხებს.

დეპუტატის განცხადებით, ამ რეფორმებით იმის მყარი საფუძველი შეიქმნება, რომ მოქალაქემ მიწა მინიმალური დანახარჯებით დაარეგისტრიროს და არსებული ხარვეზები გამოასწოროს.

„საჯარო რეესტრი მეგობრული იქნება და ის მოსახლეობას ხარვეზების აღმოფხვრასა და დოკუმენტების მოძიებაში დაეხმარება. რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა არქივი განადგურებულია, შესაძლოა, ამ შემთხვევაში საჭირო გახდეს მთავრობის დადგენილება, რომელიც მესაკუთრეებს მიწას თუნდაც სიმბოლურ ფასად გადასცემს“, — აღნიშნავს სამხარაული.

თეონა მანაგაძე

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება

სტალინი შვილებთან

სტალინის ოჯახი, ცხოვრების რიტმი. ყოფა

მინდოდა მცოდნოდა სტალინის გემოვნება და ჩვევები, ხოლო განსაკუთრებით მისი ხასიათი (ეს ჩემთვის აუცილებელი იყო), რისთვისაც ყველაფერს გულისყურით და ყურადღებით ვაკვირდებოდი.

სტალინი დილით ყოველთვის ცხრა საათზე დგებოდა, ისაუზმებდა და თერთმეტ საათზე უკვე ძველ მოედანზე ცეკაში იყო სამუშაოდ. სადილი მისთვის ცეკას სასადილოდან კაბინეტში მოჰქონდათ, მაგრამ ხანდახან, როცა მოსკოვში კიროვი ჩამოვიდოდა, სახლში ერთად მიდიოდნენ სასადილოდ... ხშირად სტალინი გვიან ღამემდე მუშაობდა, განსაკუთრებით იმ წლებში, როცა ლენინის სიკვდილის შემდეგ ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება გახდა საჭირო.

თავის წიგნზე „ლენინიზმის საკითხებზეც“ კაბინეტში, ხან ძალიან გვიანობამდე მუშაობდა. სამსახურიდან სახლში მოლოტოვთან ერთად ფეხით მიდიოდა, კრემლში სპასკის კარიბჭით შედიოდნენ. კვირა დღეს ოჯახთან ერთად სახლში ატარებდა ან ყველანი ერთად აგარაკზე მიდიოდნენ. სტალინი ცოლთან — ნადეჟდა სერგეევნასთან ერთად თეატრში ხშირად შაბათობით ან კვირაობით დადიოდა. ესწრებოდნენ როგორც დიდი და მცირე თეატრების, ისე ვახტანგოვის თეატრის წარმოდგენებს. მეიერხოლდთან ერთად უყურა მაიაკოვსკის პიესა „ბაღლინჯოს“. ამ სპექტაკლზე, მახსოვს, მასთან ერთად კიროვი და მოლოტოვიც იყვნენ. სტალინს განსაკუთრებით გორკი უყვარდა, უყვარდა ყველა მისი პიესა და რომელიც კი მოსკოვის თეატრებში იდგმებოდა, აუცილებლად ნახულობდა. სამსახურის შემდეგ სტალინი კინოფილმების გასასინჯად გნეზდიკოვსკის შესახვევში ხშირად მოლოტოვთან ერთად მიდიოდა. მოგვიანებით კრემლში ფილმების საჩვენებელი დარბაზი მოეწყო. სტალინს კინო ძალიან უყვარდა, ამბობდა, დიდი საგიტაციო მნიშვნელობა აქვსო.

აგვისტოსა და სექტემბერში ოჯახთან ერთად სამხრეთში ისვენებდა. შვებულებას თითქმის ყოველთვის შავ ზღვაზე — გაგრასა ან სოჭში ატარებდა და იქ ორ თვემდე რჩებოდა. სოჭში ყოფნისას ზოგჯერ მაცესტის აბაზანებს ღებულობდა.

სტალინი შვებულებაში ყოფნის დროსაც ძალიან ბევრს მუშაობდა. სამხრეთში თან აუცილებლად რომელიმე თანამშრომელიც მიჰყავდა. ოციან წლებში ეს იყო მშიფრავი, ხოლო ოცდაათიანი წლების დასაწყისში — მდივანი... შვებულების დროს ჰქონდა საქმიანი შეხვედრები. მაგალითად, ორმოცი წლის ბოლოს მასთან კ.გოტვალდი და ენვერ ხოჯა ჩამოვიდნენ. პოლონეთში განწესების წინ გაგრაში აგარაკზე კ.კ. როკოსოვსკი ესტუმრა.

სტალინი ძალიან ბევრს კითხულობდა. თვალს ყოველთვის დიდი ყურადღებით ადევნებდა როგორც პოლიტიკურ, ისე მხატვრულ ლიტერატურას.

უყვარდა ზღვაში კატერით სეირნობა, კინო, კეგელბანი, უყვარდა ქალაქობანა და ბილიარდი. თამაშისას მისი პარტნიორები ის თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც იმ დროს და იმავე აგარაკზე ისვენებდნენ.

ბაღში მუშაობას ბევრ დროს უთმობდა, სოჭში უამრავი ლიმონისა და მანდარინის ხე დარგო თავის ბაღში. თან სულ აკვირდებოდა, ხეები როგორ იზრდებოდა და ნაყოფს რომ გამოიღებდა, უხაროდა. იმის გამო, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულ მალარიაზე ძალიან წუხდა, მისი ინიციატივით სოჭში უამრავი ევკალიპტი დაირგო. როგორც ცნობილია, ევკალიპტს ერთი ასეთი ძვირფასი თვისება აქვს — იზრდება ძალიან სწრაფად, აშრობს მიწას და ანადგურებს ავადმყოფობის გამავრცელებელი მწერების ბუდეებს.

სტალინთან აგარაკზე ხშირად მოლოტოვი, კალინინი და ორჯონიკიძე მოდიოდნენ, როლებიც ამ დროს ასევე შავი ზღვის სანაპიროზე ისვენებდნენ. პეტროგრადიდან სტუმრად ჩამოდიოდა კიროვი.

* * *

1933 წელს ტრაგიკულად დაიღუპა სტალინის მეუღლე და მეგობარი — ნადეჟდა ალილუევა, რაც იოსებ ბესარიონის ძემ ძალიან მძიმედ განიცადა. ბავშვები ჯერ პატარები იყვნენ. იმის გამო, რომ სტალინი დაკავებული იყო, ბავშვებისადმი საჭირო ყურადღების გამოჩენას ვერ ახერხებდა, ამიტომაც ბავშვების აღზრდა და მზრუნველობა კაროლინა ვასილიევნას მიანდო. კაროლინა ვასილიევნა კულტურული ქალი გახლდათ, თან ბავშვები გულწრფელად უყვარდა.

სვეტლანა მშვიდი, დამჯერი ბავშვი იყო, რასაც ვასიაზე ვერ იტყოდი. მეტისმეტად ცელქი, მოუსვენარი ბიჭუნა აღმზრდელებს დიდ საზრუნავს უჩენდა... ბავშვები რომ გაიზარდნენ და სწავლა დაიწყეს, მათ საქციელზე პასუხისმგებლობის ნაწილი მეც მერგო.

გოგონა, რომელიც სტალინს გამორჩევით უყვარდა, კარგად სწავლობდა, იყო მორიდებული, დამჯერი და

ნიკოლაი ვასიკის ჩანაწერები

წესრიგიანი. ვაჟიშვილი, მართალია, ნიჭიერი ბავშვი იყო, მაგრამ, სკოლაში ცუდად სწავლობდა, იყო ძალიან მოუსვენარი და დიდხანს ჯდომა და ბეჯითად მეცადინეობა არ შეეძლო. ამ დროს, როცა მეცადინეობით უნდა ყოფილიყო დაკავებული, სრულიად სხვა რამით იყო გართული. მაგალითად, იჯდა ცხენზე და დააჭენებდა, მოვახსენებდი გულაკანკალებული მისი საქციელის გამო მამას და წაუხდებოდა იმასაც გუნება... შვილები უყარდა, განსაკუთრებით ქალიშვილი, რომელსაც ხუმრობით დიასახლისს ეძახდა, რითაც გოგონა ძალიან ამაყობდა. ბიჭს მკაცრად ექცეოდა, ცელქობისა და უსაქციელობისთვის ხშირად სჯიდა კიდევაც. გოგონა, რომელიც გარეგნულად ბებიას — სტალინის დედას ჰგავდა, ცოტა გულჩათხრობილი და უთქმელი ბავშვი იყო.

ნადეჟდა ალილუევა
სვეტლანასთან ერთად

ბიჭუნა პირიქით — ცოცხალი, ფიცხი, გულითადი და გულღია. ბავშვები მკაცრად იზრდებოდნენ, ყოველგვარი ნებივრობისა და ზედმეტობის გარეშე. ქალიშვილი გაიზარდა, დაამთავრა ინსტიტუტი, დაიცვა დისერტაცია, შექმნა ოჯახი, დაიწყო მუშაობა, ზრდიდა შვილებს. ბოლოს გვარი შეიცვალა, დედის გვარზე გადავიდა, ქმრის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად საზღვარგარეთ წავიდა და იქ სამუდამოდ დარჩა... ვაჟიშვილის ბედი უფრო ტრაგიკულად წარიმართა. დაამთავრა თუ არა საავიაციო სასწავლებელი, მაშინვე ომში მოუწია მონაწილეობის მიღება. მეთაურობდა და არცთუ ცუდად საავიაციო პოლკს. სტალინი რომ გარდაიცვალა, დააკავეს, რვა წელი ციხეში გაატარა, სასჯელის მოხდის შემდეგ ციხიდან სრულიად ავადმყოფი გამოვიდა. მართალია, სამხედრო წოდება დაუტოვეს და პენსიაც დაუნიშნეს, მაგრამ შესთავაზეს, უარი ეთქვა მამის გვარზე, რაზეც არ დათანხმდა.

ამის შემდეგ ის კაზანში იქნა გადასახლებული, სადაც მალე — 1962 წელს ორმოცდაერთი წლისა გარდაიცვალა.

სერგეი მირონის ძე კიროვის მკვლელობა

სტალინი და კიროვი

განსაკუთრებულად მინდა მოვყვე კიროვის შესახებ.

სტალინს კიროვი ყველაზე მეტად უყვარდა და პატივს სცემდა. უყვარდა როგორიღაც თბილი, გულის ამაჩუყებელი სიყვარულით. კიროვის ყოველი ჩამოსვლა როგორც მოსკოვში, ისე სამხრეთში, სტალინისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ჩამოვიდოდა მოსკოვში ერთი ან ორი კვირით და ბინად ყოველთვის სტალინის სახლში რჩებოდა, გვერდიდან მას თითქმის არასოდეს არ შორდებოდა.

ს.მ. კიროვი 1934 წლის 13 დეკემბერს ლენინგრადში მოკლეს. მისმა სიკვდილმა სტალინი შეაძრწუნა. ლენინგრადში მე მასთან ერთად წავედი და ვიცი, როგორ იტანჯებოდა, როგორ განიცდიდა თავისი ძვირფასი მეგობრის დაკარგვას. ის, თუ რა კრისტალურად სუფთა, როგორი უბრალო და თავმდაბალი ადამიანი იყო სერგეი მირონის ძე, რა დიდი მუშაკი და ბრძენი ხელმძღვანელი, ეს ყველამ შესანიშნავად იცოდა.

ამ მკვლელობამ აჩვენა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მტრები ფარულად ჯერ კიდევ მოქმედებდნენ, მზად იყვნენ, დარტყმა მიეყენებინათ ახალი ქვეყნისათვის.

და აი, კიროვი სწორედ იმ ხალხის მტრებმა მოკლეს. მისმა მკვლელმა ლეონიდ ნიკოლაევმა თავის ჩვენებაში ასე განაცხადა: „ჩვენი გასროლა უნდა ყოფილიყო სიგნალი სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების) და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით აფეთქებისა და იერიშის დაწყების. 1934 წლის სექტემბერში მოხდა თავდასხმა მოლოტოვზე, როცა ის ციმბირის სამთამადნო რაიონებში საინსპექციოდ გაემგზავრა. მოლოტოვი და მისი თანამგზავრი, ვინც მაშინ იქ მასთან ერთად იმყოფებოდა, სიკვდილს შემთხვევით გადაურჩნენ.

სტალინის მკვლელობის მცდელობა

1935 წლის ზაფხულში, როცა სტალინი გაგრასთან ახლო მდებარე აგარაკზე ისვენებდა, მოხდა მცდელობა მისი მკვლელობის შესახებ.

სტალინი იმ პატარა კაიერით, რომელიც ლენინგრადიდან იაგოდას მიერ იყო გამოგზავნილი, შავ ზღვაში სეირნობდა. მასთან ერთად იმყოფებოდა მხოლოდ დაცვა. კატერმა გეზი ბიჭვინთისკენ აიღო. ზღვის უბეში შესვლის შემდეგ ნაპირზე გადავედით, დავისვენეთ, ცოტა წავიხემსეთ, გავისეირნეთ, რამდენიმე საათი სანაპიროზე დავყავით, ბოლოს ჩავსხედით კატერში და შინ წამოვედით. ბიჭვინთაში არსებული შუქურის ახლოს სანაპიროზე არის მესაზღვრეების საგუშაგო. ყურიდან რომ გამოვედით და გეზი გაგრისაკენ ავიღეთ, უცებ სროლის ხმა გაისმა — ეს ჩვენ გვესროდნენ სანაპიროდან.

სტალინი სასწრაფოდ სკამზე დავსვი, გადავეფარე, მოტორისტს ვუბრძანე, ღია ზღვაში გასულიყო და სანაპიროს მიმართულებით მაშინვე ტყვიამფრქვევიდან ვისროლეთ, რის შემდეგაც ჩვენი კატერისკენ სროლა შეწყდა.

ჩვენი კატერი მდინარის კატერი იყო, პატარა და სრულიად გამოუსადეგარი ზღვაში სეირნობისათვის, ამიტომაც ნაპირთან მისვლამდე კარგა გვარიანად გვაქანავა... იაგოდას მიერ ასეთი კატერის გამოგზავნას, როგორც ჩანს, ბოროტი განზრახვა ედო საფუძვლად — კატერი დიდი ტალღის თავზე რომ მოქცეულიყო, მისი დაღუპვა გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ, ჩვენ, ვისაც ბევრი არაფერი გაგვეგებოდა ზღვისა, ამაზე წარმოდგენაც არ გვქონდა.

ეს საქმე გამოსაძიებლად ბერიას გადაეცა, ის ამ დროს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო. დაკითხვისას იმ კაცმა, ვინც გვესროლა, განაცხადა, რომ კატერს უცხო ნომერი ჰქონდა, რაც საეჭვოდ მოეჩვენა და ცეცხლი გახსნა, თუმცა საკმარისი დრო ჰქონდა, რათა მანამდე გარკვეულიყო, ვინაიდან, ვიდრე ყურეში სანაპიროზე ვიყავით, შეუძლებელია არ დავენახვეთ.

ეს ყველაფერი ერთი გორგალი იყო.

მკვლელობა კიროვის, მენჟინსკის, კუიბიშევის, ისე, როგორც ის თავდასხმა ჩვენს კატერზე, მარჯვენა ტროცკისტული ბლოკის მიერ იყო ორგანიზებული.

ეს დაადასტურა 1936 წლის კამენევისა და ზინოვიევის, 1937 წლის პიატაკოვის, რადეკის, სოკოლნიკოვის, 1938 წლის იაგოდას, ბუხარინის, რიკოვის პროცესებმა. ასე და ამგვარად, გორგალი გაიხსნა და ომის წინ საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეები გაუუნებელდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია მათგან „მეხუთე კოლონა“ მიგვეღო.

(გაგრძელება იძნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 65

◎ წერილი ნიუ-იორკიდან

ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ ჩემს ცხოვრებაში...

გიგზავნით გაზეთ „დავითის ფარის“ ბოლო ნომრის მე-2 გვერდზე გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას. თუ საჭიროდ ჩათვლით, გამოაქვეყნეთ თქვენს გაზეთში. პატივისცემით, დავით კურტანიძე. ნიუ-იორკი, 05. 04. 2016 წ.

„მეგობრობა გზად და ხიდად“ ეს სიტყვები ადამიანთა თანაცხოვრების ქვაკუთხედია. 26 საუკუნის განმავლობაში საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც არასდროს ყოფილა ანტისემიტიზმი, — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საპატრიარქოში განაცხადა, სადაც ებრაულ დელეგაციას უმასპინძლა. პატრიარქის თქმით, **ქართველებსა და ებრაელებს შორის სისხლით ნათესაობა არსებობს. როგორც უწმინდესმა ბრძანა, ქართული სამეფო დინასტია ბაგრატიონები წარმოშობას იღებს დავით მეფისა და სოლომონ მეფისგან.** მისივე თქმით, მსოფლიოში არსად არის დავით მეფის სახელობის ტაძარი და ის მხოლოდ თბილისშია. როგორც პატრიარქმა აღნიშნა, **ქართველმა ხალხმა პირველი ქალი წმინდანად აღიარა ებრაელი სიდონია. *„ღმერთმა დალოცოს ჩვენი ორი ერი, ჩვენი მეგობრობა და ძმობა“,*** — ბრძანა ილია მეორემ. მანვე აღნიშნა, რომ ***„საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და ქართველ ხალხს განსაკუთრებულად უყვარს ისრაელის სახელმწიფო და ებრაელი ხალხი. ჩვენ გადმოცემაც გვაქვს, რომ ებრაელისგან დალოცვა ღვთისგან დალოცვას ნიშნავს“.***

შეუძლებელი იქნებოდა ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, რომ არ ჰქონოდათ ღვთიური ნიჭი, დაუმორჩილებლობის თვისება, რწმენა და საოცარი ბრძოლის უნარი გამარჯვებისთვის. გამუდმებულ ბრძოლებშია გამოვლილი ებრაელი და ქართველი ერი. განსაკუთრებით ებრაელი ხალხი. ებრაელთ დააკარგვინეს მამული, ენა, მაგრამ ვერ წაართვეს მრწამსი; სარწმუნეობა, რამაც გადაარჩინა კიდეც. დღესაც ბევრი მტერი ჰყავს ებრაელ და ქართველ ხალხს მსოფლიოში. ჩვენმა დიდმა პოეტმა, ბუნების მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერა, რომ: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“. ეჰ! რაც არის, არის. ახლა ერთი საგულისყურო ამბავიც უნდა მოგიყვეთ: სამწუხაროდ, ათეული წლების განმავლობაში მძიმე მოსასმენი და საყურებელი გახდა საქართველოს სატელევიზიო გადაცემები. ერთადერთი გამონაკლისია ჯემალ ბაღაშვილის სატელევიზიო გადაცემა „სტუმრად იუმორინასთან“. სწორედ ახლახან ნანახს და მოსმენილს გიამბობთ. გადაცემის რუბრიკაა „იუბილარი სტუმრად იუმორინასთან“. იუბილარი იყო საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საპატიო ივერიელი თემურ წიკლაური. ჯ. ბაღაშვილმა ბევრი ისაუბრა თ. წიკლაურთან 45 წლის განმავლობაში მეგობრობის შესახებ.

აღნიშნა, რომ ანსამბლი „ივერია“ 55 წელია, რაც არსებობს და პატარა ბიჭი მე მოვიწვიე ივერიაში და მას შემდეგ ერთად, მეგობრულად ვემსახურებით ჩვენს საყვარელ საქმესო. ჯ. ბაღაშვილს შეუთავაზებია თ. წიკლაურისთვის თავისი დაწერილი სიმღერა რომ შეესრულებინა, სადაც ტექსტშია „100 წლისაც არ ვიქნები ბებერი, გული შემრჩეს მხოლოდ უბერებელი“. თ. წიკლაურმაც ბრწყინვალედ შეასრულა კიდეც, ოღონდაც გაკვირვებით უკითხავს: ეს 100 წელი საიდან მოგივიდა თავშიო. ჯ. ბაღაშვილმა აღნიშნა: იქვე გამახსენდა ჩვენი მეგობრობის წლები და „ივერიას“ წლები, შევკრიბე და 100 გამოვიდაო. ჯ. ბაღაშვილი განაგრძობს — გასული საუკუნის 90-იან წლებში დიდი არეულობის პერიოდში (ახლაც არ არის მთლად დალაგებულად საქმე საქართველოში /დ. კ./) თემურ წიკლაურს „ოქროს თევზის“ სახით მოევლინა მეგობარი, ცნობილი ბიზნესმენი სოსლან ხარებოვი და უთხრა: მაქვს ყველაფრის საშუალება, შემიძლია, შემოგთავაზო, თუ გინდა ბინა ან მანქანა, არ მოგერიდოსო. თემურის არც მაშინ და არც ახლა თავზე არასდროს არ გადასდიოდა და განსაკუთრეებით არ ულხინდა, მაგრამ თემური დაფიქრდა და უპასუხა: თუ ამდენი საშუალება გაქვს, უამრავი ნიჭიერი ბავშვია, ზოგიც ლტოლვილია, რომლებსაც არავითარი პერსპექტივა არ აქვთ ხელმოკლეობის გამო, ჩამოვაყალიბოთ ორგანიზაცია, ვუწოდოთ მას „სოსლენდი“ — გადაარჩინე ჩვენი სულები — მოვამზადოთ ეს ბავშვები, ვასწავლოთ უცხო ენები, კომპიუტერი, მივცეთ სპეციალობა და დავასაქმოთ. ეს იქნება რეალური სიკეთე, რომელსაც ვისურვებდი რომ გამეკეთებინაო. მანაც შეისმინა.

ხუთი წელი იმუშავა ორგანიზაციამ და 2000-ზე მეტმა ბავშვმა შეიძინა სპეციალობა და დასაქმდა. 3 წელი გავიდა და კიდევ მოაკითხა ბიზნესმენმა. ისევ უკითხავს: ამჯერად მაინც რა გინდა შენთვისო. აქაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვით: თემური ლურჯი მონასტრის წიქაროსანი გახლავთ და თავის დროზე ჩვენს ეკლესიას 40-ზე მეტი ეკლესია ჰქონდა იერუსალიმში, რომლებიც დღეს აღარ არის. სოსლანის და თემურის დიდი მცდელობით და დიდი ვაჟკაცობით ასეთი სახლი იერუსალიმში შეძენილია, უკვე არსებობს. ჩვენი საპატრიარქოს მომლოცველებს შეუძლიათ ჩავიდნენ დაილოცონ დედა ევგენიასთან.

თემურ წიკლაური ჩაერთო ჯ. ბაღაშვილს საუბარში და სთხოვა, ორიოდე სიტყვა მათქმევინე იერუსალიმის შესახებო. თემური განაგრძობს: ტელავივის სასტუმროში ვიჯექით და საკითხი წყდებოდა იერუსალიმში. ახლა მაქვს შესაძლებლობა სახალხოდ, მსოფლიოს გასაგონად მოვუხადო მადლობა იმ ქართველ ებრაელებს, უამრავ ქართველ ებრაელს, რომლებიც მხარში დამიდგნენ მაშინ და ყველაფერი გაკეთეს იმისათვს, რომ ჩემი ეს იდეა განხორციელებულიყო და ბოლომდე მისულიყო. ველოდებოდი სასტუმროში იმიტომ, რომ არ წამიყვანეს იერუსალიმის მერიაში, სადაც ეს ურთულესი საკითხი იხილებოდა. მიწა ქრისტიანი კაცისთვის საკუთრებაში უნდა გადმოეცათ, რაც იშვიათი გამონაკლისია. დღის პირველ საათზე მირეკავენ: „დაგენაცვლე“ — ეს რომ გავიგონე, მივხვდი, რომ გაკეთებულია ყველაფერი, მეც გავფუჭდი, ის იქ ტიროდა, მე აქ ვტიროდი. რომ მკითხონ რა განიცადე ცხოვრებაში დიდი ბედნიერებაო, ალბათ, ეს მომენტი იყო. ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ ჩემს ცხოვრებაში.

ყოველივე აღნიშნული იმის დასტურია, რომ ქართველთა და ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი უნიკალური მეგობრობა დღესაც გრძელდება.

დავით კურტანიძე,
ქ. ნიუ-იორკი

◎ პოეზია

ბალადა მარადიულ გლადიატორზე

კვლავაც კოშმარად ახსოვს გაზალეთს,
ძმებს ძმების მოკვლა რომ დააძალეს
და მკვდრეთით ვეღარ აღდგა ლაზარე,

ზოგს მიაჩნია დღეს სასალუქედ,
ნილოსს რომ ნახავს, წყალს თუ ამუქებს სისხლი,
რომელიც წასკდათ მამლუქებს!

იმ დროს არ ჰქონდა ჩვენს ხალხს სხვა ჩარა;
ან სალდაფონად, ან იანჩარად
თუ ვერ გაგვხდიდნენ, გვთლიდნენ ლაჩარად!.

წლების წინ ძველმა უკვე დაგვტოვა,
მაგრამ წასვლისას მაინც დაგვტორა, –
და სხვას მიგვყიდა გლადიატორად.

ხან მეფისნაცვლად, ხანაც ელჩებად,
ჩვენს ცხოვრებაში სხვა კვლავ ეჩრება,
გვაომებენ და გვთვლიან ლენჩებად

და დედა გლოვობს:– ამ ბნელ ღამეში:
შვილო, ნეტავი აღარ გამეშვი,
არც აფრიკაში, არც ავღანეთში!

* * *

ვისმენ გოდებას, თუმცა არადა,
არ მსურს, ეს ბოლო
ჰქონდეს ბალადას,
რომ, ვინძლო, ვიგრძნოთ
აწ და მარადად,
ვერავინ გვაქცევს ცხვრების ფარადა!

ალექსანდრე
შენგელია.

მკერდგაღეღილი აკვირტებულა...

ათქვირებულა თეთრად აპრილი,
მკერდგადაღეღილი აკვირტებულა,
მზემონატრული, ზამთარს გაყრილი,
ზღვა სიყვარულად აზვირთებულა.

როგორ გელოდი, როგორ მინდოდი,
და თუ გავწამდი უსიხარულოდ,
მაინც მჯეროდა, რომ მოხვიდოდი,
რომ ვერ გაძლებდი უსიყვარულოდ.

მოდი დავიწყოთ ისევ თავიდან,
რადგან სიცოცხლეს ჯვარი სწერია,
ბევრი აპრილი ისე გავიდა,
რომ სიყვარულით არ მიმღერია.

ეს გაუმარჯოს შენს გაღიმებას,
როგორც განთიადს გაზაფხულისა,
ეს გაუმარჯოს აპრილის ვნებას,
როგორც ტკივილს და ტრფობას გულისა.

როგორ გნატრობდი, როგორ მინდოდი,
გელოდი ჩუმად, უსიხარულოდ,
მაინც მჯეროდა რომ მოხვიდოდი,
ვერც შენ გაძლებდი უსიყვარულოდ.

მკერდგაღეღილი თეთრი აპრილი,
აკვირტებულა, ათქვირებულა,
მზედაკოცნილი, ცვარნამდაყრილი,
ლამაზის ცრემლად ატირებულა.

შენი ეშხია მე რომ მამღერებს,
და ეს ტრფიალი არ მინელდება,
რა დააბერებს გულს ანამღერებს,
ჩემი აპრილიც არ დაბერდება.

ისე ქათქათა პატარძალია,
ზამთრისთვის როგორ გამემეტება,
მისი ბრალია, მისი ბრალია,
თუ სიყვარულად დამებედება.

სხვა ვინ იტყოდა ასე ლამაზად: სამშობლო ჩემთვის ყველაფერია!..

როგორც შავლაყაძეს
(რომის ოლიმპიურ ჩემპიონს
მისი დაბადების დღის – 1 აპრილის აღსანიშნავად)

მაღლა და მაღლა იწევს თამასა
და ყველა გზები რომისკენ მიდის,
ასე ღირსებით, ასე ლამაზად
სხვა ვინ შეძლებდა ასებთან ჭიდილს.

ვერც შეგეცილა ქვეყნად ვერავინ,
შენს აღმა ფრენას არ ჰქონდა ზღვარი,
შენ მიგაფრენდა ტატოს მერანი
და გადალახე ყველა საზღვარი,

მე ქართველი ვარ, – შესძახე მასას.
და ეს სუყველას უნდა ახსოვდეს,
რომ ვაჟკაცობის შენი თამასაც
არ დაშვებულა ძირს არასოდეს.

შენ მეგობრობაც იცი უბადლო
და თუ ვალერის ოცნებაც ახდა,
შენს ძალისხმევას უნდა უმადლოს,
რომ ტოკიოში პირველი გახდა.

მაგრამ სულ სხვაა შენი თამასა
და შენი ოქროც სულ სხვა ფერია,
სხვა ვინ იტყოდა ასე ლამაზად:
სამშობლო ჩემთვის ყველაფერია.

გურამ ჭავჭანიძე

◎ ბაზრობა

შორეული ინდოეთის ეშხი...

ჟეშმარიტად საგაზაფხულო და უჩვეულო, ეგზოტიკური შორეული ინდოეთის სუნთქვით გაჟღენთილი ატმოსფერო სუფევს ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეში, სადაც ორიოდე დღის წინათ ამ დიდებული ქვეყნის ნაწარმის დიდი ბაზრობა დაიწყო.

თბილისელთათვის ეს ერთობ საგულისხმო ღონისძიება ინდოეთის ფირმა „ლითლ ინდიას“ („პატარა ინდოეთის“) თაოსნობით იმართება. ბაზრობაზე მისულ მყიდველებს ინდოელი მწარმოებლები ნაირ-ნაირ საქონელს სთავაზობენ, მათ შორის პარფიუმერიას, გალანტერეას, სამკაულებს, სუვენირებს, ჭურჭელს, ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმელს, სამზარეულოს ავეჯს, სუნელებს, ჩაის დაგემოვნება კი მსურველებს სხვადასხვა სახის ეროვნული ნამცხვრებით „პაკეროთი“ შეუძლიათ.

უზარმაზარ დარბაზში მეტად უჩვეულო და უაღრესად სასიამოვნო განწყობას ქმნის ინდური ხალხური მუსიკა და ეროვნული ცეკვები, რომლებსაც ქართველი გოგონები ასრულებენ.

ბაზრობის გამორჩეული ნიშანი კი ის გახლავთ, რომ საქონელზე დადგენილი მყარი ფასები არ არის – პოტენციურ მყიდველს შევაჭრებისა და ფასდაკლების მიღების შესაძლებლობა აქვს.

მეტად მიმზიდველი ღონისძიება სპორტის სასახლეში 23 აპრილამდე გასტანს.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „რეგიონ ლოჯისტიკის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „რეგიონ ლოჯისტიკი“ (ს/კ 404917603), მის: თბილისი, გაგარინის I შესახვევი №1, ბინა №15;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვეთი №1/51) (საკადასტრო კოდი: 01.11.13.001.051). შენობა-ნაგებობა №1-დან კომერციული ფართი 607კვ.მ. (II სართული), კომერციული ფართი 425კვ.მ. (I სართული), საზაფხულო ფართი 300.80კვ.მ. მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად.

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 584511,83 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 89161,43 ლარს);

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 22 აპრილი, 12:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალე:** შპს „ახალშენი 2005“ (ს/კ 202292642), მის: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №55, კორპუსი №1, ბინა 124;

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 22 აპრილის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

დედამიწის ზურგზე

არგენტინის პრეზიდენტი დაგვპირდა, დაადასტუროს თავისი უდანაშაულობა „ოფშორგეიტში“

„მე აბსოლუტურად მშვიდად ვარ, არაფერი მაქვს დასამალი“, – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა მას შემდეგ, რაც პროკურატურამ მასთან დაკავშირებით მოაწყო გამოკვლევა. როდესაც იმ ბრალდებებზე ლაპარაკობდა თავისი მისამართით, რომლებიც იყო „პანამის დოკუმენტებში“, მაკრიმ თქვა, რომ მოქმედებდა კანონის შესაბამისად.

კალიფორნიაში მაშველებმა კლდიდან ჩამოიყვანეს მამაკაცი, რომელიც იქ ავიდა მეგობარი ქალის გულის დასაპყრობად

27 წლის მაიკლ ბენკსი საღამოს ავიდა მოროს კლდეზე ცენტრალურ კალიფორნიაში, რათა შეეთავაზებინა თავისი შეყვარებულისთვის წინადადება ცოლობაზე ვიდეოჩანაწერის მეშვეობით. გზა ქვემოთ უფრო რთული აღმოჩნდა – მამაკაცი გაიჭედა სიმაღლეზე და უხმო დახმარებას. უბედური კლდიდან ჩამოხსნეს დილით შვეულმფრენის მეშვეობით.

ოსვენციმის ყოფილმა მცველმა, რომელსაც ბრალად ედებოდა ათასზე მეტი ტყვის მკვლელობა, სასამართლომდე ვეღარ იცოცხლა

93 წლის ერნსტ ტ. მსახურობდა სიკვდილის ბანაკში ქვედანაყოფ „მკვდარი თავის“ შემადგენლობაში და 1942-43 წლებში მონაწილეობას ღებულობდა ბერლინიდან, საფრანგეთიდან და ნიდერლანდიდან ტუსაღების მიღების ორგანიზაციაში. სასამართლო უნდა დაწყებულიყო 13 აპრილს. პოლიციის მონაცემებით, სიკვდილი „ბუნებრივად მოხდა“.

ტოკიოში აგრესიული იაპონელების ოჯახი მივიდა რუსეთის ფედერაციის საელჩოში თავშესაფრის თხოვნისათვის

„თავიანთი ანტიამერიკული რწმენის გამო“ ამ მოქალაქეებმა გამოთქვეს სურვილი მიემართათ საელჩოსათვის თხოვნით – მათთვის პოლიტიკური თავშესაფრის მისაცემად, განაცხადეს დიპლომატიურ მისიაში. მამა და მისი ორი ქალიშვილი მეტად აგრესიულად იქცეოდნენ.

APPLE 2008 წლიდან დაეხმარა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას გაეტეხა 70-ზე მეტი IPHONE

Apple არ იყო წინააღმდეგი დახმარებოდა გამოძიებას ინფორმაციის მიღებაში, თავდაპირველად კი ეხმარებოდა კიდეც მას სასამართლო დოკუმენტების შედგენაში. მაგრამ ყველაფერი შეიცვალა 2013 წელს ედვარდ სნოუდენის გამოაშკარავების შემდეგ ციფრული თვალყურის დევნების მასშტაბების შესახებ, რასაც ხელისუფლება აწარმოებდა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყო თავისი მონაწილეობა „პანამის დოკუმენტების“ გამოქვეყნებაში

დოკუმენტები შეეხებოდა ბევრი სახელმწიფოს, მათ შორის რუსეთის, პირველ პირებს, მაგრამ გამოკვლევების ნაწილი ამერიკელ კლიენტებთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა. იურიდიული ფირმის ერთ-ერთმა დამაარსებელმა განაცხადა, რომ მონაცემების გადინებაში დამნაშავეები არიან ჰაკერები ევროპიდან.

ფიდელ კასტრომ შეწყვიტა კარჩაკეტილობა...

კუბის ყოფილი პრეზიდენტი რამდენიმე თვის განმავლობაში პირველად გამოჩნდა ხალხში. ის მივიდა სკოლაში, რომელიც ატარებს – მისი უმცროსი ძმისა და ამჟამინდელი პრეზიდენტის რაულის მეუღლის ვილმა ესპინის სახელს.

საქმე №1/26-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 6 აპრილი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ბექა დანელია

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შპს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 25 მარტს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ბექა დანელიას მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 24 ივლისს შპს „ნოვა კრედიტსა” და ბექა დანელიას შორის დაიდო №071413468 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1330 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 4 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ბექა დანელიას ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ბექა დანელიას მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ბექა დანელია ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ბექა დანელიას (პირადი №01011074650) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ბექა დანელიას განემარტოს, რომ
გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ბექა დანელიას ეცნობოს, რომ 2016 წლის 2 მაისს 11:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ბექა დანელიას მიმართ.

5. ბექა დანელიას ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/22-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 1 აპრილი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: ალექსანდრე ნათიძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 15 მარტს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ალექსანდრე ნათიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 1 აპრილს შპს „ნოვა კრედიტსა” და ალექსანდრე ნათიძეს შორის დაიდო №041514483 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 3200 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 60 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3 პროცენტი ყოველ ვადაგადაციელბულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მსესხებლის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: ლენდ როუვერ დისქავერი 3; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2004; ტიპი: მაღალი გამავლობის; ფერი: რუხი 1/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №SALLAAA145A307525; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL4460592; სარეგისტრაციო ნომერი: BB748SS.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ალექსანდრე ნათიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ალექსანდრე ნათიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ალექსანდრე ნათიძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ალექსანდრე ნათიძეს (პირადი №01023004117) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

10. ალექსანდრე ნათიძეს განემარტოს, რომ
გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ალექსანდრე ნათიძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 2 მაისს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ალექსანდრე ნათიძის მიმართ.

13. ალექსანდრე ნათიძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ფეხბურთი

უკვე გაკვალული ბილიკით

ევროპის ლიგის ოთხგზის გამარჯვებული „სევილია“ მეხუთე ტრიუმფისთვის ემზადება, რაც ავტომატურად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას ნიშნავს.

არადა, ესპანურ მეოთხედფინალურ დერბიში სტუმრად ბასკურ „ბილბაოსთან“ ანდალუზიელთა წარმატებას ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე. მიზეზი ბანალურია – პრიმერადივიზიონის მიმდინარე სეზონში უნაი ემერის გუნდს მეტოქის მინდორზე ერთი თამაშიც კი არ მოუგია და სახლის კლუბად ჩამოყალიბდა, საიდანაც იქაური ფეხბურთის უკლებლივ ყველა გრანდი გაწბილებული გაუშვა.

აღნიშნული ეტაპის პირველი რაუნდის გამორჩეული მოვლენა იურგენ კლოპის ძველი და ახალი კლუბების ცენტრალური მატჩი იყო, რომლის შემდეგაც წყვილში ინტრიგა შენარჩუნდა – ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა.

„ბილბაო“ – „სევილია“ 1:8, „ბორუსია“ – „ლივერპული“ 1:1, „ბრაგა“ – „შახტარი“ 1:2, „ვილიარეალი“ – „სპარტა“ 2:1.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

დანკანმა რეჯი მილერს გადაასწრო

„სან ანტონიოს“ ლიდერმა, 39 წლის ტიმ დანკანმა ნბა-ს რეგულარულ სეზონებში 1390-ე თამაში ჩაატარა, რითაც „ინდიანას“ ლეგენდას რეჯი მილერს გადაასწრო (1389 მატჩი).

ამ მაჩვენებლით დანკანი ნბა-ს ისტორიაში მერვე ადგილზეა. ტიმის მორიგი სამიზნე ჯეისონ კიდის 1391 მატჩია, რომელსაც, სავარაუდოდ, ამავე სეზონში მოხსნის.

ნბა-ს ისტორიაში ყველაზე მეტი შეხვედრა რობერტ პერიშს (1611 მატჩი) აქვს ჩატარებული.

„გოლდენ სტეიტი“ – „სან ანტონიო“ 112:101.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ჰონდურასულ-ქართული ამბავი

ცხრა მთას, ცხრა ზღვასა და ცხრა სახელმწიფოს იქით, მდებარეობს ერთი პატარა, მაგრამ დიდი გაქანების მქონე ქვეყანა, სახელად ჰონდურასი. იმის მიუხედავად, რომ ჰონდურასში ცხოვრების დონე სულაც არაა ტკბილი და საამო, ამ ქვეყნის სანახავად მაინც ბევრი ადამიანი იდგამს წელებზე ფეხს და თვითმფრინავში სკუპდება.

წახვალ, აბა როგორ არ წახვალ, როდესაც დარწმუნებით იცი, რომ ჰონდურასში ისეთი ტურფა ასულები გელოდებიან, როგორიც, მაგალითად, ყოფილი ჩოგბურთელი ანა-კაროლინა ნასაბრიაა. განა რამე – ჩვენ ამ ქალზე უტურფესსნიც გვინახავს, მაგრამ იქ, სადაც ანა რიგითი ლამაზმანია, სხვებზე რაღა უნდა თქვა?...

ანა-კაროლინა სანაბრიამ ერთი პერიოდი მოდელობასაც მიჰყო ხელი, „მის ჰონდურასიც“ გახდა და დიდი ამბით იპლაკებოდა ფოტოობიექტივის წინ, მაგრამ ჭეშმარიტად ქართული ამბავი დაემართა – ფულიან ბიძას ცოლად გაჰყვა და მხრებზე პლედი ისე მოიფარა, თითქოსდა ბარძაყებს მზეზე ჩვენ ვაციალებდეთ. რას ვიზამთ, სამხრეთელი ხალხი ვართ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ოლიმპიური ჩემპიონი



ვაჟა კაჭარავა დაიბადა 1937 წლის 2 იანვარს. ფრენბურთს თამაშობდა თბილისის „ბურევესტნიკსა“ (1955-1964) და მოსკოვის „დინამოში“ (1965-1971), იყო ამ გუნდების კაპიტანი, რვა წლის განმავლობაში (1959-1967) საკავშირო ნაკრების ღირსებას იცავდა. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების (1964) გამარჯვებული გახლავთ ევროპის ჩემპიონი (1967) და ბრინჯაოს პრიზიორი (1963), მსოფლიოს ჩემპიონატის მესამეადგილოსანი (1966), მსოფლიოს თასის მფლობელი (1965), უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1963, 1965), საკავშირო ჩემპიონატების მესამე პრიზიორი (1965), საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ორგზის მეორე (1967, 1971) და მესამე პრიზიორი (1963). მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული ამავე სასწავლებლის გუნდსა და სსრკ ახალგაზრდულ ნაკრებს ავარჯიშებდა, იყო სსრკ სტუდენტური და საქართველოს ვაჟთა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელი, არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, 1990 წელს დაასახელეს სსრკ საუკეთესო მწვრთნელთა შორის. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის, ღირსებისა და სეოკ-ის ორდენებით.

ნიკიტამ გაგვაცილა, ლეონიდს ჩამოვუტანეთ

1964 წელს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად შეიტანეს ფრენბურთი. ტოკიოში ფავორიტად სამ-ოთხ გუნდს მიიჩნევდნენ, მათ შორის – საბჭოთა ნაკრებს, რომლის ღირსებასაც თბილისელი ვაჟა კაჭარავაც იცავდა. სპორტის ამ სახეობასთან ნაცნობობა კი აბაშიდან დაიწყო, სადაც მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი საზაფხულო არდადეგებისას ჩაჰყავდათ მშობლებს. ერთხელ ქვიშხეთიდან მშობლიურ აბაშაში დაბრუნებულ კარის მეზობელ ალეკო ჩოჩიას თანატოლი ბიჭებისთვის უცნობი სპორტის სახეობა გაუცნია – ქვიშხეთში დასვენებისას უნახავს, თავისუფალ დროს რუსთაველის თეატრის სახელოვანი მსახიობები თამაშობდნენ თურმე ფრენბურთს. თუმცა, ვაჟა კაჭარავამ „ახალი ხილს“ უფრო გვიან გაუსინჯა გემო.

– სკოლაში უფროსი მეგობარი მყავდა – ზურაბ ბრონიაკი, – იხსენებს ოლიმპიური ჩემპიონი. – კალათბურთელთა სასკოლო პირველობისას მის წინააღმდეგ ვთამაშობდი და ისეთი ბურთები ავართვი, გაოცებული დარჩა. მატჩის შემდეგ ფრენბურთზე ჩამომიგდო სიტყვა: ხომ არ გინდა, სექციაზე მიგიყვანოო. ის უკვე ვარჯიშობდა. მართალი გითხრათ, ფრენბურთი საქართველოში არც მაშინ სარგებლობდა პოპულარობით. ჩვენი სკოლა „დინამოს“ სტადიონთან ახლოს იყო და ბიჭები ფეხბურთზე ვიყავით უზომოდ შეყვარებული. ხშირად კონსერვის ქილებითაც გვიბურთავია. დედა მსაყვედურობდა, „საპოჟნიკის“ ოჯახის გამოკვება გადაწყვიტეო?! იშვიათად კალათბურთზე თუ წავიდოდით. ზურამ იმით დამაინტერესა, რომ ისეთი მწვრთნელი გვყავს, მარჯვენა ხელი „სმერტელნი“ აქვს, ამიტომ „ტოპკას“ მხოლოდ ცაციათი ურტყამსო, მითხრა. ამგვარი ცდუნებით მივედი ფრენბურთზე შოთა მარგიშვილთან. ეს იყო გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში. საინტერესო ის იყო, რომ, როცა მთელი ქალაქი ჩვენკენ – დიდუბისკენ მოდიოდა ფეხბურთის საყურებლად, მე მოსწავლეთა სასახლისკენ მივიჩქაროდი სავარჯიშოდ, მეცადინეობას არ ვაცდენდი. ექვსი თვის შემდეგ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ძირითად ექვსეულში ვიდექი. საქართველოში უძლიერესი თავდამსხმელი გავხდი. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში 1957 წელს მიმიწვიეს. მალევე საკავშირო სტუდენტურ ნაკრებშიც დავიბევე ადგილი. ეტყობა, 1959 წლის სპარტაკიადაზე შემამჩნიეს და პირველ ნაკრებში მიმიწვიეს, რომლის მთავარი მწვრთნელი გახლდათ გივი ახვლედიანი. იუგოსლავიასა და რუმინეთში ვიასპარეზეთ. გავუსწრებ მოვლენებს და გეტყვით, რომ ქართველმა ფრენბურთელებმა საერთაშორისო სარბიელზე რამდენიმე სხვადასხვა სინჯის ჯილდო დავიმსახურეთ. გივი ახვლედიანი 1952 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მე კი ოლიმპიურ ჩემპიონობასთან ერთად ორჯერ მსოფლიო უნივერსიადა, თითოჯერ ევროპის ჩემპიონატი და მსოფლიოს თასი მოვიგე. 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ტოკიოში ჩემთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი გახდა სოხუმში დაბადებულ-გაზრდილი სტანისლავ ლუგაილო, ხოლო მისმა თანაქალაქელმა ვლადიმირ დოროხოვმა 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე მოიპოვა ფრენბურთში ოლიმპიური ჩემპიონობა. 1963 წელს ბრაზილიის ქალაქ პორტოუ ალეგრიში საბჭოთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც ჩემთან ერთად თბილისელები – სტანისლავ ბუინოვი, ედუარდ ობიტკო და ვლადიმირ გავრილენკო გამოდიოდნენ, სტუდენტთა პირველი მსოფლიო უნივერსიადა მოიგო.

– თქვენს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, ტოკიოს ოლიმპიური თამაშები იქნება...

– საბჭოთა ნაკრებს მაშინ ძალიან ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა. ძირითად ექვსეულში იყვნენ ფრენბურთელები, რომლებმაც 1960 და 1962 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატები მოიგეს. იმის თქმა მინდა, რომ გამოცდილება არ აკლდათ.. მართალია, სათადარიგო ვიყავი, მაგრამ თავდამსხმელის ნებისმიერ პოზიციაზე შემეძლო თამაში. შვიდ მატჩში მივიღე მონაწილეობა, რადგან დიმა ვოსკობოინიკოვს მუხლები სტკიოდა და დიდხანს ვერ ჩერდებოდა მოედანზე, ხოლო გუნდის კაპიტანმა იური ჩესნოკოვმა პირველსავე პაექრობაში იდაყვი დაიზიანა და გამაყუჩებლებით შედიოდა სათამაშოდ.



მეტად რთული ამოცანის წინაშე აღმოვჩნდით: საბჭოთა ნაკრებმა მასპინძლებთან 1:3 წააგო, მაგრამ ჩეხოსლოვაკიას 3:2 სძლია: პირველი ორი პარტია ჩვენ მოვიგეთ – 15:9 და 15:8, მომდევნო ორი ხელი დავთმეთ – 5:15, 10:15. გადამწყვეტ პარტიაშიც მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონები დაწინაურდნენ 5:2. საბოლოოდ მაინც გავიმარჯვეთ – 15:7. ჩეხოსლოვაკიელებმა მერე იაპონიას აჯობეს. პირველ ადგილზე გასასვლელად სამი შეხვედრა მშრალი ანგარიშით უნდა მოგვეგო, რადგან ერთნაირი ქულების შემთხვევაში პარტიების შეფარდება გამოავლენდა ჩემპიონს. ოლიმპიადამდე ორი დღით ადრე ბულგარელებთან ამხანაგური მატჩი 2:3 დავთმეთ. მწვრთნელებმა ისეთი დღე გვაყარეს, მტერს არ ვუსურვებდი. ჰოდა, ამ „შეხურებამ“ გაჭრა – დარჩენილ პაექრობებში ბულგარელებთან, ამერიკელებსა და ბრაზილიელებთან ჩვენთვის სასურველი ანგარიშებით გავიმარჯვეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ.

ტრაბახად თუ არ ჩამითვლით, გეტყვით, რომ ოთხ მატჩში შეუცვლელად ვითამაშე და ბოლო ორთაბრძოლის მოგებაში დიდი წვლილი შევიტანე. საინტერესოა ისიც, რომ 1964 წლის 7 ოქტომბერს ოლიმპიადაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა გაგვაცილა, ოქროს მედლები კი ლეონიდ ბრეჟნევს ჩამოვუტანეთ, რადგან ნიკიტა თანამდებობიდან 14 ოქტომბერს გაათავისუფლეს.

– გვსმენია, რომ ნაკრებისკენ თქვენი გზა ყოველთვის ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა.

– აბა, რა გითხრათ. 1959 წელს ნაკრებში რომ მიმიწვიეს, მაშინ ჩვენი გუნდი, როგორც გითხარით, საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდიოდა. მოსკოვში გვითხრეს, საკავშირო ნაკრების წევრი ძლიერ გუნდში უნდა თამაშობდესო და საბჭოეთის დედაქალაქში გადასვლა შემომთავაზეს. ეს რომ საქართველოს სპორტკომიტეტში ვთქვი, დასაოსტატებლად პირობებს ჩვენ თავად შეგიქმნითო, მიპასუხეს. მოსკოვში გადასვლაზე მეც უარი განვაცხადე. ეტყობა, გაბრაზდნენ და 1960 წელს ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე არ გამომიძახეს. იმ წელიწადს ჩემპიონობის მოპოვების შანსი დავკარგე. მერე, როგორც იქნა, „ზემოთ“ გული მოულბათ და ისევ მიხმეს ნაკრებში. 1961 წელს ჩეხოსლოვაკიის ძლიერ ტურნირში ვიასპარეზე. 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლის იმედი მომეცა. აქ კი ჩვენებმა დამიდეს კვანტი: 1962 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩინეთში გაემგზავრა ამხანაგური მატჩების გასამართავად. გამიკვირდა, რომ არ მიმიწვიეს. თურმე, თბილისის სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ ხელმძღვანელებმა დამიმალეს, რომ ნაკრებში ვიყავი გამოძახებული – საკავშირო უნივერსიადაზე უნდა მეთამაშა უმაღლესი სასწავლებლის სახელით. ამ გაუგებრობის გამო ნაკრებს მიღმა აღმოვჩნდი და მეორედ დავკარგე მსოფლიოს ჩემპიონობის შესაძლებლობა. ხუთი წლის შემდეგ კი მოვხვდი მსგავს შეჯიბრებაზე, მაგრამ მხოლოდ ბრინჯაო მერგო...

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ვაჟა კაჭარავამ მწვრთნელობას მიჰყო ხელი – ჯერ მოსკოვში, შემდეგ საქართველოში ავარჯიშებდა გუნდებს. 1989 წელს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელთა გვერდით იყო. წლების სიმძიმის მიუხედავად, დღესაც ქართულ სპორტს ემსახურება.

ვაჟა დანელია

◎ სულიერება

დიდმარხვის IV კვირიაკე

წმინდა იოანე სინაელის (კიბისაღმწერელის) ხსენება

10 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს კვირა დღეს და წმინდა იოანე სინაელს, კიბისაღმწერელს იხსენიებს.

ცნობილია, რომ იოანე სინაელი იყო სინას მთაზე მოღვაწე მწერალი, ასევე განთქმული „სქოლასტიც“.

იოანე სინაელი თავის თხზულებაში „კიბე“ მოგვითხრობს სამონაზვნო ცხოვრების შესახებ, ჭეშმარიტი უბიწო ცხოვრების კეთილისმყოფელ მხარეებზე, რომელიც ქრისტიანული ცხოვრების სრულყოფილების იდეალს წარმოადგენს.

ეს ნაწარმოები ქართულად სამჯერ უთარგმნიათ.

იოანე კიბისაღმწერელს ეკუთვნის ასეთი გამონათქვამი: „მცირედთ თუ ძალუძთ შეაკავონ წყალი კაშხლის გარეშე; და უფრო მცირედნი არიან ისეთნი, რომელთაც ძალუძთ დაადუმონ თავშეუკავებელი ბაგენი“.

თითოეულ მართლმადიდებელ ქრისტიანს შეეწიოს იოანე სინაელის მადლი, ასევე დიდმარხვის IV კვირიაკეს დღესასწაული!

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი ენა ქართული!

აღებმიცემობასაც ვუშველოთ!

„... პარლამენტში... სარფიანი კანონპროექტის გასატანად **აღებ-მიცემობის** (ახლანდელი მართლწერით: **აღებმიცემობის**) სეზონი იხსნებოდა“; „...სამსახურებში ისეთი განუკითხაობა, ყალბი საბუთების შეთხზვა და **აღებ-მიცემობაა,** რომ კაცი გაკვირვებისაგან პირს დააღებს“; „წითელ ხიდთან გაჩაღებულია **აღებ-მიცემობა“** (ლაპარაკია მანქანებით საზღვრის უკანონო გადაკვეთისას ქრთამის აღებაზე); ... იმ ქალაქში გამეფებული იყო კორუფცია, **აღებ-მიცემობა,** ქურდობა და სხვა საშინელებანი“.

წაკითხულ-მოსმენილს თუ გავაანალიზებთ („აღებ-მიცემობა, ქურდობა და სხვა საშინელებანი“), აღებმიცემობა სხვა არა ყოფილა რა, თუ არა „საცოდავი ძღვენი“ (საბა), ესე იგი ქრთამი.

ახლა ყური დავუგდოთ ჩვენს წინაპრებს. რას გვეუბნებიან ისინი?

ილია ჭავჭავაძე: **„აღებ-მიცემობის** უნარი ღმერთს იმათთვის არ უღირსებია“; „საცა ასეთი სიღარიბე-სიღატაკეა, იქ ვაჭრობა და **აღებ-მიცემობა** რა წყალს დალევს; რით ამოივსებს კუჭსა?“; „როგორც ანდერსონი, ისე მასპერო დიდ ქებაში არიან ხეტტების კულტურისა, **აღებ-მიცემობისა,** ვაჟკაცობისა და ძლიერებისა“;

ნიკო ნიკოლაძე: „აიღეთ რომელიც გსურდეთ იმ ერის ისტორია, ყოველგან ცხადად დაინახავთ, რომ მისი აღორძინება, მისი გონებრივი სიფხიზლე, მისი განვითარება **აღებ-მიცემობის,** მრეწველობის ზედ-დართული შედეგი და ნაყოფი ყოფილა“; **„აღებ-მიცემობისა** და ვაჭრობის გაფართოებასთან ერთად საგრძნობელი გახდა სასოფლო მეურნეობისა და წარმოების საქმის წინ წაწევა“; „...მას შემდეგ, რაც ჩვენ ქვეყანაში ცოტაოდენი **აღებ-მიცემა** და მისვლა-მოსვლა გაიმართა, გლეხიკაცი ზურგის გამართვას იწყებს“;

გერონტი ქიქოძე: „მთელი თანამედროვე **აღებ-მიცემობა** საერთაშორისო უფროა თავისი ძირითადი ტენდენციებით, ვიდრე ეროვნული“; „ევროპის საგარეო აღებ-მიცემობა ერთი წლის განმავლობაში (1902 წ.) სჭარბობს სამოც მილიარდ მარკას; თუ ამ უზარმაზარ ციფრს სხვა ქვეყნების **აღებ-მიცემობას** მივუმატებთ, დაახლოებით მაინც წარმოვიდგენთ, რა ძლიერი უნდა იყოს **აღებ-მიცემობის** როლი ინტერნაციონალი ეკონომიური კავშირის განმტკიცებაში“; **„აღებ-მიცემობის** ზრდა-განვითარება და ეკონომიური გაერთიანება ხელს უწყობს ეროვნების პოლიტიკურ კონსოლიდაციას“...

ასევე იტყვის ზოგიერთი ჩვენი თანამედროვეც: „წინასწარ ვგრძნობ, რომ ამ ჩემი დილეტანტური მოსაზრებებით თქვენს, სპეციალისტთა, კიდევ უფრო ცხოველ აზრთა **აღებმიცემობას** გამოვიწვევ“ (ტ.ჭანტურია); „ჩვენი საფიხვნოს მონაწილეთა ერთი ნაწილი ადრე შეიკრიბა და აზრთა მაშინდელი **აღებმიცემობა** კიდეც აისახა ერთ-ერთ რადიოგადაცემაში...“ (თ. კვაჭანტირაძე), „ბაზარი დღეს, უბრალოდ, **აღებმიცემობის** ადგილი არ არის, მრავალი მოქალაქისათვის არსებობის ასპარეზია“ და ა.შ.

ამას ნორმატიული წყაროს დამოწმებაც კი არ სჭირდება.

ოთარ კაპანაძე

◎ საქალაქო ტრანსპორტი

ევროპაც დაიხრჩო ესტაკადებში და მერე დაიწყო მათი დანგრევა

როგორ უნდა განიტვირთოს მოძრაობა ქალაქში?

საცობების შემცირების მიზნით თბილისის ცენტრიდან, შესაძლოა, რამდენიმე ბენზინგასამართი სადგური გადაიტანონ. როგორც დედაქალაქის მერიაში აცხადებენ, კომპანიებთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს და ბენზინგასამართი სადგურების ადგილზე კუნძულებისა და შუქნიშნების მოწყობა იგეგმება.

თბილისის მერის მოადგილის ირაკლი ლექვინაძის განმარტებით, კვანძების მოწყობა ეხება საკაძის მოედანს, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიას, 26 მაისის მოედანს და, ასევე, რამდენიმე წერტილს დიღომში. პარალელურად, საცობების პრობლემის მოგვარების მიზნით მერია მიწის ზედა და ქვედა პარკინგების მოწყობასაც გეგმავს.

„ეკოტრანსპორტის ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი ვასილ ურუშაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ საცობების პრობლემა თბილისში 2014 წლის შემოდგომიდან დაიწყო და, აქედან მოყოლებული, ადამიანთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მხრივ პრობლემებმა იმატა, რადგან გართულდა სასწრაფო სამედიცინო და სამაშველო სამსახურების გადაადგილება.

რატომ იმატა მაინცდამაინც 2014 წლიდან დედაქალაქში ავტოტრანსპორტის მოძრაობამ? ვასილ ურუშაძე ამას იმით ხსნის, რომ ჯერ კიდევ 2005 წლიდან ქვეყანაში, მათ შორის, თბილისში, ავტომობილების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 70-დან 90 ათას ერთეულამდე იზრდებოდა. 2012 წლის შემდეგ თბილისში ახალი შემოვლითი გზები, ხიდები, ესტაკადები არ აშენებულა და შედეგმაც არ დააყოვნა – ქუჩები გადაიტვირთა. დღეს უკვე მილიონ 200 ათასამდე ავტომობილია რეგისტრირებული საქართველოში, საგზაო ინფრასტრუქტურა კი იგივე დარჩა, ანუ დაირღვა ბალანსი ავტომობილების რაოდენობასა და საგზაო ინფრასტრუქტურას შორის.

„მუნიციპალური ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა და მისი გაუმართაობა მოსახლეობას აიძულებს, გადაადგილდეს პირადი ავტომობილით, რაც ზრდის ექსპლუატაციაში მყოფი ავტომობილების რაოდენობას. ამას ემატება პარკინგის პრობლემაც, დღეს თბილისში პარკირების ერთ ოფიციალურ ადგილზე მოდის 12 ავტომობილი. შესაბამისად, 11 მძღოლი ეძებს ალტერნატიულ ადგილს და ეს ადგილებია ქვეითად მოსიარულეთათვის განკუთვნილი ტროტუარი, სადარბაზოს შესასვლელი, გზის სავალი ნაწილი. რატომღაც ახლა საუბრობს თბილისის მერია ბენზინგასამართი სადგურების გადატანაზე. ამ დროს კი ზუსტად 2015 წელს „ლაგუნა ვერეს“ ტერიტორიის მოპირდაპირე მხარეს ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგური გზის სავალ ნაწილზე სწორედ თბილისის მერის ნებართვით გახსნეს. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ პირდაპირ ერთ ზოლზე იქმნება საცობი. შესაბამისად, დღეს თბილისის მერიის მიერ საუბარი იმაზე, რომ მოძრაობა განიტვირთება ბენზინგასამართების გადატანით, აბსურდია და ეს არ შეამსუბუქებს ვითარებას. თორემ ფეთქებადსაშიში ბენზინგასამართი სადგურები რომ არ უნდა იყოს ქალაქის ცენტრში, ამას რად უნდა ბევრი ლაპარაკი?!“ – აღნიშნა ვასილ ურუშაძემ.

რაც შეეხება ბენზინგასამართი სადგურების შუქნიშნებით ჩანაცვლებას, „ეკოტრანსპორტის ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი აცხადებს, რომ თბილისის მერიამ ამ რამდენიმე თვის წინათ დაიქირავა „გერმანული“ კომპანია, რომელიც მხოლოდ რუსულ ბაზარზე ოპერირებდა, მას რეკომენდაციებში გადაუხადა 40 ათასი ევრო და სწორედ მათ ურჩიეს, სააკაძის მოედანზე შუქნიშნების დამონტაჟება. არადა, ვინც საგზაო მოძრაობაში ოდნავ მაინც ერკვევა, ყველამ იცის, დამატებით შუქნიშანი და მოძრაობის შემაფერხებელი სხვა ფაქტორი საცობების წარმოქმნის პოტენციური მიზეზია. შესაბამისად, სააკაძის მოედნის განტვირთვის ერთადერთ საშუალებად რჩება ორდონიანი მოძრაობის მოწყობა, რაც შესაძლებელია ესტაკადებით, პანდუსებითა და გვირაბით, როგორც ეს გმირთა მოედანზე განხორციელდა. ამ მიდგომით შეიძლება განიტვირთოს მოძრაობა სააკაძის, 26 მაისის მოედნებზე, უნივერსიტეტისა და თამარაშვილის ქუჩის კვეთაზე.

ქალაქდაგეგმარების სპეციალისტი ზურაბ ბაქრაძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ბენზინგასამართი სადგურების გადატანამ შეიძლება დადებითი ეფექტი გამოიღოს, ოღონდ ეს პრობლემას არავითარ შემთხვევაში არ გადაწყვეტს. უბრალოდ, ეს პატარა შემსუბუქების წერტილები იქნება ისევე, როგორც დიდი სიმძლავრის ობიექტების ქალაქიდან გადატანა.

ზურაბ ბაქრაძის აზრით, დედაქალაქის განტვირთვა კომპლექსური სატრანსპორტო დაგეგმით შეიძლება და ამ დაგეგმის საბოლოო მიზანი უნდა იყოს ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის შემცირება.

„ესტაკადებით ქალაქის დახუნძვლა ძველი, 60-იანი წლების მიდგომაა. რატომღაც ამ მიდგომით შენდება ჩვენი დედაქალაქი დღესაც, რაც ინდივიდუალურ ტრანსპორტს კიდევ უფრო ამრავლებს. რაც უფრო მეტ გზას, ესტაკადას ავაშენებთ, უფრო მეტი მანქანა ივლის. ამის შესახებ მთელ მსოფლიოში იციან, ამიტომაც ქალაქებში არანაირ გზებს არ აშენებენ. სამაგიეროდ, უნდა გაიზარდოს და უკეთესი გახდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რათა ადამიანებმა დაინახონ, რომ ავტობუსით, ტრამვაით უფრო კომფორტულად მგზავრობენ, ვიდრე მანქანით; ქალაქის ცენტრში არ უნდა იყოს სადგომები, ძალიან ძვირი უნდა ღირდეს ქალაქის ცენტრში მანქანის დგომა და ეს გადატანილი უნდა იყოს პერიფერიებში, სადაც ადამიანი მანქანას დატოვებს და ქალაქის ცენტრში სულ სხვა ტრანსპორტით შემოვა.

მნიშვნელოვანია, ასევე, ტაქსების შემცირებაც. ამასთან, ძველი მანქანების შემოყვანა, გადასახადების თვალსაზრისით, მომგებიანი არ უნდა იყოს, ეს უნდა მოიშალოს და რაც უფრო ძველია მანქანა, უფრო ძვირი უნდა ღირდეს მისი შემოყვანა; უნდა აიწიოს ბენზინის ფასმაც იმის ხარჯზე, რომ ბენზინი გახდეს ევროსტანდარტის. ამ კომპლექსური ღონისძიებების შედეგად ნაკლები ინდივიდუალური მანქანა გვექნება, მივიღებთ ბევრ საზოგადოებრივ სივრცეს, ხალხი ივლის ფეხით, ველოსიპედით, ტრამვაით და აღარ იქნება საცობები“, – აღნიშნა ზურაბ ბაქრაძემ და განმარტა, რომ **ამას მიაღწია ბევრმა ქალაქმა და ყოველდღიურად პრესაში იბეჭდება ფოტოები, რომ ამერიკის რომელიღაც ქალაქმა ავტობანი გააუქმა, იმ ადგილას მწვანე სივრცე მოაწყო და ახლა იქ ხალხი ზის და ყავას სვამს. ამის საპირისპიროდ, ჩვენ უმახინჯეს ესტაკადებს ვაშენებთ. სხვათა შორის, ევროპამაც ააშენა ესტაკადები, დაიხრჩო იმ ესტაკადებში და მერე დაიწყო მათი დანგრევა. თანაც, იმ სიმაღლეზე „ადიან“ ეს ესტაკადები, რომ მეორე სართულამდე აღწევენ და ხალხს ფანჯრებიდან მოსვენებას უკარგავენ“.**

მანანა ნოზაძე

გონების „მკვლელი“

მხედველობასთან დაკავშირებით პრობლემების მქონე ხანდაზმულ ადამიანებში გონებასუსტის საფრთხე, სხვებთან შედარებით, გაცილებით მაღალია.

ამერიკელმა სპეციალისტებმა, რომლებიც 625 გამოსაცდელის ქცევის თავისებურებებს აკვირდებოდნენ, დაადგინეს, რომ მათ შორის, ვინც მხედველობის დაქვეითებას უჩიოდა, დემენციის განვითარების საფრთხე პროცესის დაწყებიდან უახლოეს 8 წელიწადში საგრძნობლად მატულობდა. კერძოდ, 168 კაცი ალცჰეიმერის დაავადებით დასნეულდა.

მეცნიერებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს იმის დადგენა, თუ რა კავშირია გონებრივ შესაძლებლობასა და თვალების ჯანმრთელობას შორის. ერთი კი ცხადია, რომ მხედველობის დაქვეითებას ადამიანის სოციალური აქტივობის დაქვეითება მოყვება და, გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ესაა გონებასისუსტის წარმოშობის მიზეზი.

„დეპრესიული“ სექსუალობა

დეპრესიაში მყოფი ქალები სექსუალურ ურთიერთობებს ბედნიერებზე გაცილებით ხშირად ამყარებენ, მიაჩნიათ ავსტრიელ მეცნიერებს.

სპეციალისტებმა მუდმივი სექსუალური პარტნიორის მყოლი ორივე ჯგუფის ასი ქალბატონი გამოკითხეს. აღმოჩნდა, რომ მსუბუქ ან ზომიერ დეპრესიაში მყოფებს სექსი ბედნიერებზე გაცილებით ხშირად აქვთ.

ფსიქოლოგები განმარტავენ, რომ სექსი პესიმისტ ქალებს თავს უფრო დაცულად აგრძნობინებს. საქმე ისაა, რომ დეპრესიის გამო მათ სატრფოს დაკარგვის შიში აწუხებთ, ამიტომ გამუდმებული მოფერებით, კოცნითა და სასიყვარულო თამაშებით ისინი მის დაჭერას ცდილობენ.

ასევე გაირკვა, რომ დეპრესიის მდგომარეობაში მყოფი ქალები სექსუალურად უფრო ლაღები არიან, ადვილად თანხმდებიან ინტიმურ ექსპერიმენტებსა და ხშირად არც შემთხვევით სექსზე ამბობენ უარს.

კარგ მოქცევას წახალისება სჭირდება

ხელფასის 10 პროცენტით გაზრდა კომპანიებში თამბაქოს მწეველთა 5 პროცენტით შემცირებას იწვევს, ესაა კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერთა გამოკვლევის შედეგი.

ნაშრომში შეიტანეს მონაცემები იმ პირების შესახებ, ვისაც 1999-2009 წლებში 21-დან 65 წლამდე შეუსრულდა. ისინი კი, ვინც თამბაქოს არასდროს ეწეოდა, გამოკვლევაში არ მოხვდნენ.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების შემდეგ გაირკვა, რომ ხალხი თამბაქოს მოწევას დაბალი ხელფასის გამო არ იწყებს, სამაგიეროდ, თავს ანებებს მაშინ, როცა მაღალი ხელფასი აქვს. ამასთან, აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს ფაქტი ქალებზე მეტად მამაკაცებშია გამოხატული. ყველაზე ნაკლები თამბაქოს მწეველი კი იმ შტატებშია, სადაც მომუშავეთა მინიმალური ხელფასი სხვებისაზე უფრო მაღალია.

გამოკვლევის შედეგები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საიმისოდ, რომ ადამიანები ცხოვრების ჯანმრთელ წესს მისდევდნენ, მათ არა მარტო ცუდი გაკეთების შესაძლებლობა უნდა შევუზღუდოთ, არამედ კარგი ქცევაც უნდა წავახალისოთ.

მთელი დღის მანძილზე სიმხნევის შენარჩუნების ხუთი ხერხი

ნოტინგემის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მკვლევარებმა ინდივიდუალურ მოქმედებათა სქემა შეიმუშავეს, რომელიც თითოეულ ჩვენგანს საშუალებას მისცემს მთელი დღის მანძილზე სამსახურში თავი მხნედ იგრძნოს და მეტი წარმატებითაც იღვაწოს.

1. შეასრულეთ დილის გამამხნევებელი ვარჯიში. მხოლოდ ათი წუთის ვარჯიში ყოველ დილით თქვენს ტვინსაც გამოაფხიზლებს და სხეულსაც „გააღვიძებს“, თანაც მთელი დღის სამყოფ ენერგიას შეგმატებთ.

2. ნუ უცქერთ ეკრანს. რომ გაიღვიძებთ, მაშინვე მობილურ ტელეფონს ნუ ეცემით, თავი დაანებეთ ინტერნეტს და ნურც ტელევიზორს ჩართავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ ტვინს მაშინვე გადატვირთავთ.

3. დალიეთ წყალი და ისაუზმეთ. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ ჭიქა წყალი, რომელშიც ნახევარი ლიმონი ჩაწურეთ. იგი გაჯერებულია კალიუმით, C ვიტამინით, ანტიოქსიდანტებით — ყველაფერი ეს დიდად სასარგებლოა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მდგომარეობისთვის. საუზმე ენერგიის მომარაგებაში დაგეხმარებათ, გაგიუმჯობესებთ გონებასა და კონცენტრაციას.

4. ჩაინიშნეთ საკუთარი მიზნები. რის გაკეთებას აპირებთ დღის განმავლობაში? რამდენ დროს დახარჯავთ ამაზე და როგორ? უპასუხეთ ამ შეკითხვებს და საქმეები გაცილებით უკეთ გამოგივათ. ყველაზე რთული საქმეები კი თავიდანვე მოიცილეთ.

5. მოწესრიგდით! ისინი, ვინც დალაგებულ მაგიდასთან მუშაობენ, უკეთეს შედეგებს აღწევენ, რადგან მოუწესრიგებლობა, ქაოსი გონებას ფანტავს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

დედაქალაქი სამშენებლო ნარჩენების პოლიგონად აქციეს!

შპს თბილსერვისჯგუფის ზედამხედველობის სამსახურმა გეგმური ინსპექტირებისას მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, რამდენიმე ათეული სამართალდამრღვევი პირი გამოავლინა, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე სამშენებლო, ინერტული და სხვა სახის ნარჩენების უკანონოდ განთავსებას ახორციელებდნენ.

თბილსერვისჯგუფის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი ყველა სამართალდამრღვევი პირი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად დაჯარიმდა და მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის სამსახურებთან გადაიგზავნა.

„მოვუწოდებ ყველა სამართალდამრღვევ პირს, რომ სამშენებლო, ინერტული და სხვა სახის ნარჩენები განათავსონ მუნიციპალიტეტის მიერ ნებადართულ ტერიტორიებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები ყველა სამართალდამრღვევი პირის მიმართ განხორციელდება“, — განაცხადა შპს თბილსერვისჯგუფის დირექტორის მოადგილემ ლევან გოგოძემ.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ეძიმო, იქნებ მითხრათ, რა მჭირს? — ეუბნება მოხუცი კაცი ექიმს.

— ოო, ჩემო კარგო, თქვენ სკლეროზი და დიაბეტი გაქვთ.

— კი, მაგრამ ასე, გაუსინჯავად, როგორ და რით მიხვდით?

— შარვალი გაქვთ გახსნილი, გარშემო კი ფუტკარი დაფრინავს.

* * *

— რობერ ამოწმებდნენ ძველად ახალაგებული ხიდის საიმედობას?

— ხიდზე თავს მოუყრიდნენ შორიახლო მცხოვრებ ყველა სიდედრს. თუ გაუძლებდა, ხიდი კარგი იყო, თუ არა — საუკეთესო.

* * *

ორი გადამთვრალი ტიპი თავის სოფელში ბრუნდება.

— ნახე, პეტკა, შენს სახლში ფანჯრიდან ქურდი აპირებს გადაძრომას.

— გადაძვრეს... ცოლს მე ვეგონები და ისე დაბეგვავს, სიცოცხლის ბოლომდე არ დავიწყდება.

* * *

— მოცურავის ქუდი გაქვთ? — ეკითხება ტიპი მაღაზიის გამყიდველს.

— არა.

— ფეხბურთელის ბუცები?

— არა.

— თხილამურები.

— არა. და საერთოდ, ეს ღვინო-არყის მაღაზიაა.

— რახან ასეა, მაშინ ერთი ბოთლი არაყი მომეცით, — ეუბნება ტიპი გამყიდველს და თავისთვის ჩაიბურტყუნებს, — ღმერთმა იცის, რომ სპორტული ცხოვრების დაწყება მინდოდა, მაგრამ...

* * *

— მაინც რა გაიძულებს ყოველდღე დათრობას?

— არაფერიც არ მაიძულებს. მოხალისე ვარ.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.298; ევრო - 2.617;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.238;
100 რუბლი - 3.357; თურქული ლირა - 0.808;
აზერბაიჯანული მანათი - 1.517;
1000 სომხური დრამი - 5.782

ამინდი 9 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +21
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +29
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +24
თბილისი: ღამე +10, დღე +20

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE